

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	1
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ.....	5
2. საოპერაციო გარემო	5
3. მომზადების საფუძველი.....	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	23
6. ინფორმაცია სემენტების შესახებ	24
7. ძირითადი საშუალებები.....	27
8. საინვესტიციო ქონება	29
9. სხვა გრძელვადიანი აქტივები	30
10. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება.....	31
11. საკუთარი კაპიტალი.....	33
12. ნასესხები სახსრები.....	34
13. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება.....	35
14. სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები.....	35
15. შემოსავალი წყალმომარაგებიდან და მასთან დაკავშირებული მომსახურებიდან.....	37
16. შემოსავალი ელექტროენერგიის რეალიზაციიდან.....	37
17. სხვა შემოსავალი	38
18. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი.....	38
19. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	38
20. პროფესიული გასამრჯელო	38
21. სხვა შემოსავალი	39
22. სხვა საოპერაციო ხარჯები.....	39
23. ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	39
24. წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	40
25. აქციებზე დაფუძნებული გადახდები	40
26. არარეგულარული ხარჯები	41
27. პირობითი ვალდებულებები	42
28. ფინანსური ინსტრუმენტები.....	43
29. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები.....	46
30. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	48

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“
ხელმძღვანელობასა და მშობელ კომპანიას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები ის საკითხებია, რომლებიც, ჩვენი პროფესიული განსჯის საფუძველზე, ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმავლობაში. ეს საკითხები მთლიანობაში განვიხილეთ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის კონტექსტში და აუდიტზე დაყრდნობით ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბებისას, შესაბამისად ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვხატავთ. ქვემოთ თითოეული საკითხისთვის მოცემული განმარტება იმისა, თუ როგორ განვიხილეთ აღნიშნული საკითხი აუდიტის განმავლობაში, წარმოდგენილია ჩვენივე აუდიტის კონტექსტში.

ჩვენ შევასრულეთ პასუხისმგებლობა, რომელიც დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“, აღნიშნული საკითხების ჩათვლით. შესაბამისად, ჩვენი აუდიტი მოიცავდა ისეთი პროცედურების ჩატარებასაც, რითაც შევაფასებდით ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს. ჩვენი აუდიტის პროცედურების, მათ შორის ქვემოთ მოცემული საკითხების განსახილველად ჩატარებული პროცედურების შედეგები, წარმოადგენს თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი აუდიტორული მოსაზრების საფუძველს.

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხი

როგორ მივუდექით აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს ჩვენი აუდიტის განმარტებაში

გამრიცხველიანებული აბონენტების წყალმომარაგებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება

2019 წელს კომპანიამ აღიარა 142,352 ათასი ლარის შემოსავალი გამრიცხველიანებული აბონენტებისთვის წყლის მიწოდებიდან.

გამრიცხველიანებული აბონენტების წყალმომარაგებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ჩვენი აუდიტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო, როგორც აღიარებული შემოსავლის მნიშვნელოვანი ოდენობის, ისე მომხმარებელთა რაოდენობის, და აგრეთვე იმის გამო, რომ ხელმძღვანელობა მეტწილად განსჯას დაეყრდნო წყლის იმ მოცულობების განსაზღვრისას, რომლებიც მომხმარებლებისთვის მიწოდებულია, მაგრამ რომლებზეც ქვითრები ჯერ არ გამოწერილა.

გამრიცხველიანებული აბონენტების წყალმომარაგებიდან მიღებულ შემოსავალთან დაკავშირებით ინფორმაცია წარმოდგენილია ამ ფინანსური ანგარიშგების მე-4 და მე-15 შენიშვნებში.

შევაფასეთ შემოსავლის აღიარების პროცესის სტრუქტურა და შევამოწმეთ მისი კონტროლის ეფექტურობა.

გავაანალიზეთ წყლის მოხმარების ტენდენციები, რომ შეგვეფასებინა ხელმძღვანელობის მიერ გამოთქმული ვარაუდები, მათ შორის იმ მოცულობების შესახებ, რომლებიც მიწოდებულია, მაგრამ მათზე ჯერ ქვითრები არ გამოწერილა. სავარაუდო მოცულობები, რომლებიც მიწოდებულია, მაგრამ რომლებზეც ჯერ ქვითრები არ გამოწერილა, შევადარეთ ისტორიულ ინფორმაციას.

განვიხილეთ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა შემოსავლის აღიარებასთან დაკავშირებით, რათა შეგვემოწმებინა ფასს 15-ის „შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ მოთხოვნებთან მისი შესაბამისობა.

გავაანალიზეთ ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია.

ძირითადი საშუალებების არსებობა და შეფასება

კომპანიის ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 432,282 ათასი ლარია, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი მიწისქვეშა აქტივებია და არ არის იოლად ხელმისაწვდომი ფიზიკური დათვალიერებისთვის.

შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული ნიმუშების საფუძველზე შევამოწმეთ მიწისქვეშა ინფრასტრუქტურული აქტივების შემოსვლები და გასვლები 2019 წელს და ერთმანეთს შევადარეთ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში და პირველად დოკუმენტებში ასახული შემოსვლების და გასვლების თვითღირებულება.

2019 წლის მეორე ნახევარში კომპანიამ შეცვალა თავისი სააღრიცხვო პოლიტიკა ძირითად საშუალებებთან მიმართებით, კერძოდ, გადაფასების მოდელიდან გადავიდა თვითღირებულების მოდელზე და შეცვლილი სააღრიცხვო პოლიტიკა რეტროსპექტულად გამოიყენა, როგორც ამას ბასს 8 „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“ („ბასს 8“) მოითხოვდა.

კომპანიამ ჩაატარა თავისი ძირითადი საშუალებების გაუფასურების ტესტირება 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და შეაფასა გაუფასურების ან მანამდე აღრიცხული გაუფასურების შემოზღუდვის ნიშნები 2018 და 2019 წლებში. გაუფასურების ან მანამდე აღრიცხული გაუფასურების შემოზღუდვის ნიშნები 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ გამოვლენილა.

ეს საკითხი იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ჩვენი აუდიტის პროცესში, რადგან მნიშვნელოვანი განსჯა მოწაწილებდა იმის განსაზღვრაში, არის თუ არა სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა მიზანშეწონილი და აგრეთვე იმის გამო, რომ გადასვლის ეფექტის გამოთვლა, გაუფასურების მოდელის დაშვებების ჩათვლით, რთული იყო.

შესაბამისი განმარტებები წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების მე-4 და მე-7 შენიშვნებში.

ამ პერიოდის განმავლობაში აშენებული მიწისქვეშა აქტივების შესახებ ინფორმაცია შევადარეთ მომხმარებლის საბილინგო სისტემაში შესაბამის ლოკაციებზე ასახულ ინფორმაციას.

შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული ნიმუშების საფუძველზე, მოვახდინეთ აქტივების ფიზიკური დათვალიერება მშენებლობის პროცესში.

გავაანალიზეთ მსგავსი საწარმოების საჯაროდ ხელმისაწვდომი ფინანსური ანგარიშგება, შევადარეთ კომპანიის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას და შევაფასეთ, სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა აძლევს თუ არა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს უფრო რელევანტურ და სარწმუნო ინფორმაციას.

ჩვენი შეფასების სპეციალისტების დახმარებით გავაანალიზეთ გაუფასურების ტესტირების მოდელი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ანალიზის დროს ყურადღება გავამახვილეთ მოდელის ისეთ ძირითად დაშვებებზე, როგორიც არის დისკონტირების განაკვეთი, საპროგნოზო პერიოდის შემდგომი ზრდის ტემპი და საბოლოო ფულადი ნაკადები.

გადავიანგარიშეთ სააღრიცხვო პოლიტიკაში შესული ცვლილების ეფექტი შესადარის ფინანსურ ინფორმაციაზე, მათ შორის განმარტებით შენიშვნებზე. გავაანალიზეთ გაუფასურების ტესტირებას დაქვემდებარებული ინდივიდუალური აქტივების განაწილება ფულადი სახსრების წარმომქმნელ სხვადასხვა ერთეულზე.

განვიხილეთ ხელმძღვანელობის მიერ გაუფასურებისა და მანამდე აღრიცხული გაუფასურების შემოზღუდვის ნიშნების შეფასება 2018 და 2019 წლებში ბასს 36-ის „აქტივების გაუფასურება“ მოთხოვნების მიხედვით და დავიმოწმეთ ინფორმაციის გარე და შიდა წყაროები.

მიგვაჩნია, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაცია წარმოდგენილია ბასს 8-ის მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსურ ანგარიშგებაში და მასზე დართულ აუდიტორის დასკვნაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია გულისხმობს კომპანიის 2019 წლის მმართველობით ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. კომპანიის 2019 წლის მმართველობითი ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი, სავარაუდოდ, გახდება წინამდებარე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არც ახლა და არც მომავალში გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ ჩვენს ანგარიშში.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობისა და მშობელი კომპანიის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მშობელი კომპანია პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებს კლიენტების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება საბაზისო ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად, ვიტყობინებით აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

ამასთანავე, მშობელ კომპანიას წარვუდგენთ წერილობით განცხადებას, რომ ვაკმაყოფილებთ სათანადო ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და ვატყობინებთ ყოველგვარი ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც გონივრულობის ფარგლებში შეიძლება ექვს იწვევდეს ჩვენი დამოუკიდებლობის შესახებ, და, თუ შესაძლებელია, წარმოვადგენთ შესაბამის გარანტიებს.

მშობელი კომპანიისთვის წარდგენილ საკითხებს შორის განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმავლობაში და, შესაბამისად, სწორედ ისინი წარმოადგენს აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს. აღნიშნულ საკითხებს აღვწერთ აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონით ან ნორმატიული აქტით არ არის აკრძალული საკითხის საჯაროობა, ან თუ, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, გადავწყვეტთ, რომ საკითხი არ უნდა აისახოს ჩვენს დასკვნაში, რადგან გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ამით გამოწვეულმა უარყოფითმა შედეგებმა გადაწონოს ამ ინფორმაციის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის სარგებელი.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ეყრდნობა აუდიტს, რომლის პარტნიორიც არის ალექსეი ლოზა.



ალექსეი ლოზა
პარტნიორი

შპს „იუაის“ სახელით

2020 წლის 29 აპრილი

თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2019 წ.	31 დეკემბერი, 2018 წ. (გადაანგა- რიშებული)*	1 იანვარი, 2018 წ. (გადაანგა- რიშებული)*
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	432,282	370,507	271,969
საინვესტიციო ქონება	8	5,801	8,644	10,138
აქტივის გამოყენების უფლება		606	-	-
რესტრუქტურირებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება	10	196	184	111
გაცემული სესხები	29	46,885	45,493	49,531
სხვა გრძელვადიანი აქტივები	9	2,095	1,725	6,682
სულ გრძელვადიანი აქტივები		487,865	426,553	338,431
მოკლევადიანი აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		3,069	3,218	3,033
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	10	22,333	18,972	16,997
გაცემული სესხები	29	3,511	1,012	1,221
მიმდინარე მოგების გადასახადის წინასწარ გადახდა		-	-	61
წინასწარ გადახდილი გადასახადები მოგების გადასახადის გარდა		-	-	2,929
გადახდილი ავანსები		3,413	977	1,289
წარმოებული ფინანსური აქტივები	24	-	-	449
შეზღუდული წვდომის დეპოზიტები	28	-	877	7,653
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	28	22,388	9,363	37,049
სულ მიმდინარე აქტივები		54,714	34,419	70,681
სულ აქტივები		542,579	460,972	409,112
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	11	69,654	91,719	110,559
დამატებით შეტანილი კაპიტალი	11	16,538	10,657	2,783
გაუნაწილებელი მოგება		69,548	30,927	348
სხვა რეზერვები	11	(9,313)	(7,545)	(5,238)
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	11	4,429	7,853	9,351
სულ საკუთარი კაპიტალი		150,856	133,611	117,803
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	12	311,484	260,219	242,414
გადავადებული შემოსავალი	14	23,491	17,789	14,818
საიჯარო ვალდებულება		459	-	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		79	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		335,513	278,008	257,232
მოკლევადიანი ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	12	24,547	18,566	946
მიღებული ავანსები	14	5,880	7,557	8,310
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	13	16,903	16,375	18,292
ვალდებულებების და ხარჯების რეზერვი		614	494	417
გადავადებული შემოსავალი	14	4,387	3,577	3,137
საიჯარო ვალდებულება		196	-	-
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	24	1,919	1,777	-
სხვა საგადასახადო დავალიანება		1,764	1,007	2,975
სულ მიმდინარე ვალდებულებები		56,210	49,353	34,077
სულ ვალდებულებები		391,723	327,361	291,309
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		542,579	460,972	409,112

* გარკვეული თანხები არ შეესაბამება 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებას, რადგან ისინი ასახავს მე-4 შენიშვნაში აღწერილ საღირსეზო პოლიტიკაში შესული ცვლილების შესაბამისად ასახულ კორექტირებებს.

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 29 აპრილს:

ირაკლი ბაბუხაძე
 გენერალური დირექტორი

გიორგი გურუშვილი
 ფინანსური დირექტორი

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	შენიშვნა	2019	2018 (გადაანგარიშებული)*
შემოსავალი წყალმომარაგებიდან და მასთან დაკავშირებული მომსახურებიდან	15	124,084	122,118
შემოსავალი ელექტროენერგიის რეალიზაციიდან	16	19,051	6,061
სხვა შემოსავალი	17	1,759	1,236
სულ შემოსავალი		144,894	129,415
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	18	(18,330)	(17,218)
ელექტროენერგიის და გადაცემის ხარჯები	4	(12,104)	(13,226)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	10	(5,958)	(4,064)
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა		(4,482)	(3,753)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	19	(3,260)	(3,464)
ნედლეული, საწვავი და სხვა სახარჯი მასალები		(2,423)	(2,011)
პროფესიული გასამრჯელო	20	(2,064)	(2,391)
ტექნიკური მომსახურების ხარჯი		(1,833)	(2,135)
რეზერვის შექმნა და იურიდიულ სარჩელებთან დაკავშირებული ხარჯები		(120)	(231)
სხვა საოპერაციო ხარჯები	22	(17,627)	(16,290)
სხვა შემოსავალი	21	3,632	3,519
		(64,569)	(61,264)
შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA)		80,325	68,151
საპროცენტო შემოსავალი		9,442	8,364
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	23	(22,663)	(16,293)
საკუთრო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი		(5,731)	(3,804)
ცვეთა და ამორტიზაცია	7, 9	(25,715)	(21,303)
შემოსულობა არაპროფილური აქტივების გაყიდვიდან	29	2,364	–
არარეგულარული ხარჯი, წმინდა	26	(2,825)	(6,034)
მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე		35,197	29,081
მოგების გადასახადის ხარჯი		–	–
წლის მოგება		35,197	29,081
სხვა სრული შემოსავალი		–	–
წლის მთლიანი სრული შემოსავალი, წმინდა		35,197	29,081

* გაკვეთილი თანხები არ შეესაბამება 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებას, რადგან ისინი ასახავს მე-4 შენიშვნაში აღწერილ სააღრიცხვო პოლიტიკაში შესული ცვლილების შესაბამისად ასახულ კორექტირებებს და რეკლასიფიკაციებს.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	საწესდებო კაპიტალი	დამატებითი შეტანილი კაპიტალი	სხვა რეზერვები	გაუნაწი- ლებელი მოგება	ძირითადი საშუალო- ბების გადაფასების რეზერვი	სულ
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	110,559	2,783	(5,238)	(29,805)	171,224	249,523
ფასს 9-ის მიღების ეფექტი (მე-4 შენიშვნა)	-	-	-	(6,065)	-	(6,065)
ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში (მე-4 შენიშვნა)	-	-	-	36,218	(161,873)	(125,655)
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	110,559	2,783	(5,238)	348	9,351	117,803
წლის მოგება (გადაანგარიშებული) (მე-4 შენიშვნა)	-	-	-	29,081	-	29,081
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	-	29,081	-	29,081
წილობრივი გადახდები (25-ე შენიშვნა)	-	7,874	-	-	-	7,874
გადაცემები უშუალო მშობელ კომპანიაზე წილობრივი ანაზღაურების პროგრამის ფარგლებში (25-ე შენიშვნა)	-	-	(2,307)	-	-	(2,307)
საინვესტიციო ქონების გადაფასების რეალიზებული რეზერვი	-	-	-	1,498	(1,498)	-
საწესდებო კაპიტალის შემცირება (მე-11 შენიშვნა)	(18,840)	-	-	-	-	(18,840)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	91,719	10,657	(7,545)	30,927	7,853	133,611
წლის მოგება	-	-	-	35,197	-	35,197
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	-	35,197	-	35,197
წილობრივი გადახდები (25-ე შენიშვნა)	-	5,881	-	-	-	5,881
გადაცემები უშუალო მშობელ კომპანიაზე წილობრივი ანაზღაურების პროგრამის ფარგლებში (25-ე შენიშვნა)	-	-	(1,768)	-	-	(1,768)
საინვესტიციო ქონების გადაფასების რეალიზებული რეზერვი	-	-	-	3,424	(3,424)	-
საწესდებო კაპიტალის შემცირება (მე-11 შენიშვნა)	(22,065)	-	-	-	-	(22,065)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	69,654	16,538	(9,313)	69,548	4,429	150,856

ფულადი ნაკადების ანგარიშგება**2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის***(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)*

	<i>შენიშვნა</i>	2019	2018 <i>(გადაანგარიშებული)*</i>
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
დასაბეგრი მოგება		35,197	29,081
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია	8, 10	25,715	21,303
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	11	5,958	4,064
რეზერვის შემოზღუდვა		120	231
წმინდა შემოსულობა ძირითადი საშუალებების, არაპროფილური აქტივების და საინვესტიციო ქონების ჩამოწერიდან	22	(2,132)	(127)
საინვესტიციო ქონების გადაფასებით მიღებული შემოსულობა		(917)	(197)
საკუროს სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი		5,731	3,804
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი		(9,442)	(8,364)
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	23	22,663	16,293
წმინდა შემოსავალი აქტივების გადაცემიდან წილობრივი მონაწილეობიდან გასვლის დროს		(37)	-
მიღებული მოუთხოვნილი ავანსების და სავაჭრო კრედიტორული დავალიანების აღიარების შეწყვეტა		(845)	(360)
აქციებზე დაფუძნებული გადახდის ხარჯი		4,187	6,077
<i>საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილების განხორციელების შედეგად</i>			
ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		(1,151)	(185)
ცვლილება სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში		(9,297)	(6,109)
ცვლილება წინასწარ გადახდილ გადასახადებში, მოგების გადასახადის გარდა		-	2,929
ცვლილება გადახდილ ავანსებში		38	312
ცვლილება სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში		360	9,084
ცვლილება გადავადებულ შემოსავალში - მიმდინარე ნაწილი		810	440
ცვლილება მიღებულ ავანსებში		(1,355)	(393)
ცვლილება სხვა საგადასახადო ვალდებულებებში		818	(1,968)
ცვლილება შეზღუდული წვდომის დეპოზიტებში		897	6,537
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში შესული ცვლილებების შემდეგ		77,318	82,452
ცვლილება გადავადებულ შემოსავალში - გრძელვადიანი ნაწილი		5,702	2,971
მიღებული პროცენტი		6,499	2,057
გადახდილი პროცენტი		(23,337)	(18,989)
მოგების გადახდილი გადასახადი		-	61
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		66,182	68,552
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(82,136)	(116,746)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი		3,949	465
საინვესტიციო ქონების და არაპროფილური აქტივების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი		2,742	1,455
გაცემული სესხების დაფარვა		11	5,782
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(75,434)	(109,044)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
საიჯარო ვალდებულების ძირითადი ნაწილის გადახდა	4	(170)	-
აღებული სესხები	13	136,536	34,497
ნასესხები სახსრების დაფარვა	13	(86,926)	(19)
საწესდებო კაპიტალის შემცირება	12	(22,065)	(18,840)
შენატანები წილობრივი გადახდის პროგრამის ფარგლებში	25	(4,492)	(2,307)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		22,883	13,331
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(606)	(525)
წმინდა ცვლილება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		13,025	(27,686)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	28	9,363	37,049
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	28	22,388	9,363

* გარკვეული თანხები არ შეესაბამება 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებას, რადგან ისინი ასახავს მე-4 შენიშვნაში აღწერილ სააღრიცხვო პოლიტიკაში შესული ცვლილების შესაბამისად ასახულ კორექტირებებს.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ („კომპანია“) 1997 წლის 25 ივნისს თბილისის მთაწმინდის რაიონული სასამართლოს მიერ თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 23 მაისის დადგენილების საფუძველზე დარეგისტრირდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია.

2008 წელს მოხდა კომპანიის პრივატიზაცია და მისი 100%-იანი წილი შეისყიდა შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითიმ“ (ყოფილი „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედი“) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისგან.

კომპანიის ძირითად საქმიანობაა წყალმომარაგებისა და წყალარინების მომსახურების გაწევა იურიდიული პირებისთვის და ქალაქ თბილისისა და მიმდებარე სოფლების მოსახლეობისთვის. კომპანია ფლობს და ექსპლუატაციას უწევს წყლისა და ჩამდინარე წყლების ინფრასტრუქტურულ აქტივებს, რომლებიც გამოიყენება წყალმომარაგებისა და წყალარინებისთვის. კომპანია ასევე ფლობს და ამუშავებს ჰიდროელექტროსადგურებს და გამოიმუშავებს ელექტროენერგიას საკუთარი მოხმარებისთვის და ღია ბაზარზე გასაყიდად.

კომპანიის იურიდიული მისამართი: მედეა (მზია) ჯუღელის ქ. 10, თბილისი, 0179, საქართველო.

2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის 100%-იან წილს ფლობს შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითიმ“ (შემდგომში - „მშობელი კომპანია“), სს „ჯორჯია კაპიტალის“ ერთპიროვნულ საკუთრებაში მყოფი შვილობილი კომპანია, რომლის საბოლოო მშობელი კომპანია არის დიდ ბრიტანეთში რეგისტრირებული საჯარო სააქციო საზოგადოება „ჯორჯია კაპიტალი“.

2018 წლის 29 მაისს საჯარო სააქციო საზოგადოება „ბიჯეო ჯგუფმა“ დაასრულა თავისი ბიზნესის გაყოფა ორ მიმართულებად - ლონდონის ბირჟაზე დარეგისტრირებულ საბანკო ბიზნესად (საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკის ჯგუფი“) და ლონდონის ბირჟაზე დარეგისტრირებულ საინვესტიციო ბიზნესად („ჯორჯია კაპიტალი“). ამის შედეგად, ჯორჯია კაპიტალი გახდა კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანია.

2. საოპერაციო გარემო

კომპანიის საქმიანობა კონცენტრირებულია საქართველოში. რადგანაც ქვეყანა ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში მყოფი ბაზარია, მას არა აქვს კარგად განვითარებული ბიზნესის ინფრასტრუქტურა და ნორმატიული ბაზა, რაც უფრო განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებს ახასიათებთ. საქართველოში საქმიანობა დაკავშირებულია ისეთ რისკებთან, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე, მათ შორის იმ რისკებთან, რომ ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, სავალუტო კურსები მერყეობს და სასესხო და წილობრივი ინსტრუმენტების ბაზრები კარგად არ არის განვითარებული. თუმცა, ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საბანკო, იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემების გაუმჯობესებისთვის საჭირო რეფორმების სახით, რაც დადებითად აისახება ზოგად საინვესტიციო კლიმატზე. ამ რეფორმებს შორისაა ახალი კანონმდებლობის მიღება, ახალი საგადასახადო კოდექსისა და საპროცესო კანონების ჩათვლით. ხელმძღვანელობის აზრით, აღნიშნული ნაბიჯები ხელს უწყობს ბიზნესის წარმოების რისკების შემცირებას საქართველოში.

მოსალოდნელია ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული არსებული ტენდენციის გაგრძელება. ქართული ეკონომიკის მომავალი სტაბილურობა დიდად არის დამოკიდებული ამ რეფორმებზე და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი-საკრედიტო პოლიტიკის განვითარებისათვის. ამის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას ახდენს განვითარებულ ქვეყნებში საბაზრო კრიზისი და ეკონომიკური განვითარების შეფერხება, როგორიცაა COVID-19-ის გლობალური პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური განუსაზღვრელობა (30-ე შენიშვნა).

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

3. მომზადების საფუძველი

კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („ფასიკ“) ინტერპრეტაციების შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2019 წლის ანგარიშგებისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით. გამოწვევის წარმოადგენს საინვესტიციო ქონება და წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებითაა შეფასებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში („ლარი“) თუკი სხვაგვარად არ იქნა მითითებული.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

კომპანიამ პირველად გამოიყენა *ფასს (IFRS) 16 „იჯარა“*. ამ ახალი სააღრიცხვო სტანდარტის მიღება შემდეგი ხასიათისა და გავლენის მქონე ცვლილებებს განაპირობებს.

2019 წელს რამდენიმე სხვა შესწორება და ინტერპრეტაცია მოქმედებს, მაგრამ ისინი გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას ვადაზე ადრე არ მიუღია ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

ფასს (IFRS) 16 „იჯარა“

ფასს (IFRS) 16 ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფასიკ (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. სტანდარტში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და იგი მოიჯარისგან მოითხოვს იჯარების უმეტესობის ბალანსზე აღრიცხვას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის მიხედვით აღრიცხვისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორც ბასს 17-ის მიხედვით და გამოიწვევს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს. შესაბამისად, ფასს 16 გავლენას არ ახდენს იმ იჯარებზე, რომლებშიც კომპანია მეიჯარედ გამოდის.

ფასს 16-ზე გადასვლა

კომპანია უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულებებში მოიჯარედ შედარებით იშვიათად გამოდის. კომპანიის იჯარის ხელშეკრულებები, როგორც წესი, არ შეიცავს ცვლად კომპონენტს, ფორმდება ერთიდან ხუთ წლამდე ვადით და გამოხატულია ლარში ან აშშ დოლარში.

კომპანია ფასს 16-ზე გადავიდა მოდიფიცირებული მეთოდის გამოყენებით, რომლის თავდაპირველი გამოყენების თარიღია 2019 წლის 1 იანვარი. კომპანიამ კუმულაციური დაბალანსების (ანაზღაურების) კორექტირება აღიარა 2019 წლის 1 იანვარს წინა პერიოდის შედარებადი ფინანსური ინფორმაციის გადაანგარიშების გარეშე. ფასს 16-ზე გადასვლისას კომპანიამ აღიარა საიჯარო ვალდებულება იმ იჯარებზე, რომლებიც მანამდე ბასს 17-ის მიხედვით კლასიფიცირებული იყო ჩვეულებრივ იჯარად. საიჯარო ვალდებულება ფასდება დარჩენილი საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომლებიც დისკონტირდება თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მხოლოდ ფასს 16-ში დაკონკრეტებული საიჯარო გადახდები შედის აღიარებულ საიჯარო ვალდებულებაში. აღიარებულ საიჯარო ვალდებულებაში არ აისახება ისეთი ცვალებადი საიჯარო გადახდები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე და თავიანთი შინაარსით არ არის ფიქსირებული, მაგალითად, საიჯარო გადახდები, რომლებიც დამოკიდებულია საბაზისო აქტივის ფუნქციონირებაზე ან ექსპლუატაციაზე. კომპანიამ თავდაპირველი გამოყენების თარიღამდე ასეთ იჯარებზე ასევე აღიარა გამოყენების უფლებით გადამცემული აქტივი იმ საიჯარო ვალდებულების ოდენობით, რომელიც კორექტირდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ იჯარასთან დაკავშირებული ყველა წინასწარ გადახდილი ან დარიცხული საიჯარო გადასახადების თანხით.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**ახალი ან შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაციები (გაგრძელება)**

ფასს 16-ის გამოყენების ეფექტი ასეთია:

გავლენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

	<i>1 იანვარი, 2019 წ.</i>
აქტივის გამოყენების უფლება	223
სულ აქტივები	223
საიჯარო ვალდებულება	223
სულ ვალდებულებები	223

სტანდარტის მიღებას გავლენა არ მოუხდენია მფლობელის კაპიტალზე.

საშუალო შეწონილი ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი ლარში და აშშ დოლარში საიჯარო გადახდებისთვის, შესაბამისად, 11% და 8%-ს შეადგენდა.

კომპანიის ფასს 16-ის მოქმედების არეალში მოქცეული იჯარები, ძირითადად, უძრავ ქონებას შეეხება. აქტივის გამოყენების უფლების მოძრაობა ასე გამოიყურება:

	<i>უძრავი ქონება</i>
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	–
ფასს 16-ის მიღების ეფექტი	223
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	223
შემოსვლები	602
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	825
ცვეთის დანარიცხი პერიოდის განმავლობაში	(219)
აქტივის გამოყენების უფლება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	606

ქვემოთ წარმოდგენილია საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები და მათი მოძრაობა:

2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	223
შემოსვლები	602
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	63
საიჯარო ვალდებულების ძირითადი ნაწილის გადახდა	(170)
იჯარის პროცენტის გადახდა	(63)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	655

გავლენა მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე:

	<i>2019</i>
აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ანარიცხები (ცვეთა და ამორტიზაცია)	219
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე (ფინანსური დანახარჯები)	63
მოკლევადიან იჯარებზე გაწეული ხარჯი (სხვა საოპერაციო ხარჯები)	164
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებული წმინდა ეფექტი	446

2019 წელს საიჯარო გადახდები, დაბალი ღირებულების და მოკლევადიანი იჯარების ჩათვლით, ჯამში 397 ლარს შეადგენდა.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია კომპანიის ახალი სააღრიცხვო პოლიტიკა ფასს 16-ის მიღების შემდეგ, რომელსაც იყენებს სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღიდან:

აქტივის გამოყენების უფლება

აქტივის გამოყენების უფლება ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი და კორექტირდება საიჯარო ვალდებულებების ყოველი ხელახალი შეფასებისას. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების, გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯების და იჯარის დაწყების თარიღით ან თარიღამდე გადახდილი იჯარების თანხებს, რასაც აკლდება მიღებული საიჯარო შეღავათები. აღიარებულ აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით სავარაუდო სასარგებლო მომსახურებისა და იჯარის ვადებს შორის უმოკლეს ვადაზე.

საიჯარო ვალდებულება

კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, როგორც იჯარის ვადის განმავლობაში გადასახდელი თანხების დღევანდელ ღირებულებას. საიჯარო გადახდები მოიცავს არსებითად ფიქსირებულ გადახდებს. საიჯარო გადასახადების დღევანდელი ღირებულების გამოსათვლელად კომპანია იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღისთვის, თუ საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი მკაფიოდ განსაზღვრული არ არის. იჯარის დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა იზრდება, რათა ასახოს პროცენტის ზრდა და მცირდება იჯარის გადახდის შესაბამისად. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ხელახლა ფასდება, თუ ხდება იჯარის ვადის მოდიფიკაცია ან ცვლილება, თუ იცვლება არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახადები ან ცვლილება შედის საბაზისო აქტივის შესყიდვის შეფასებაში.

მოკლევადიანი იჯარები და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა

კომპანიას გარკვეული იჯარები აქვს ავტოტრანსპორტსა და აღჭურვილობაზე. ამ იჯარების მაქსიმალური ვადა 12 თვეა, ხოლო მათი ფაქტობრივი ღირებულება შეფასებულია, როგორც დაბალი ღირებულება. კომპანია ამ იჯარებისთვის იყენებს „მოკლევადიანი იჯარის“ და „დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარის“ აღიარებისთვის დაშვებულ გამონაკლისებს.

სხვა სტანდარტები და ინტერპრეტაციები

ქვემოთ ჩამოთვლილ სტანდარტებს/ინტერპრეტაციებს, რომლებიც კომპანიის საქმიანობისთვის აქტუალურია და 2019 წლის 1 იანვრისთვის შევიდა ძალაში, გავლენა არ მოუხდენია კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან საქმიანობის შედეგებზე:

- ▶ ცვლილებები ფასს (IFRS) 9-ში „საგვანსო გადახდის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით“;
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 19-ში „გემის შეცვლა, შეკვეცა ან საბოლოო ანგარიშსწორება“;
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 28-ში „გრძელვადიანი მონაწილეობა მცავშირე და ერთობლივ საწარმოებში“;
- ▶ ფასს-ის წლიური გაუმჯობესება – 2015-2017 წ.წ. ციკლი: ფასს (IFRS) 3 „საწარმოთა გაერთიანება“, ფასს (IFRS) 11 „ერთობლივი საქმიანობა“, ბასს (IAS) 12 „მოგებიდან გადასახადები“, ბასს (IAS) 23 „ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები“.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების შეფასება

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებს, როგორცაა წარმოდგენილი ფინანსური ინსტრუმენტები, და არაფინანსურ აქტივებს, როგორცაა საინვესტიციო ქონება, აფასებს სამართლიანი ღირებულებით ყოველი საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღით. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია 28-ე შენიშვნაში.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- ▶ მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძევა, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემებს.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის მნიშვნელოვანი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის საფუძველზე:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე.
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.
- ▶ დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით რეგულარულად შეფასებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები

ფასს 9-ის მოქმედების არეალში მოქცეული ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას ისინი ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სავაჭრო დებიტორული დავალიანების გამოკლებით, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკული მიზანშეწონილობა გამოიყენა, კომპანია ფინანსურ აქტივს თავდაპირველად აღიარებს მისი სამართლიანი ღირებულებით და, თუ ფინანსური აქტივი არ არის აღიარებული სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, მას უმატებს გარიგების დანახარჯებს. სავაჭრო დებიტორული დავალიანება, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკული მიდგომა გამოიყენა, ფასდება გარიგების ფასით ფასს 15-ის შესაბამისად.

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის კომპანიის ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებად, რომლებიც მოიცავს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებას, გაცემულ სესხებს, შეზღუდული წვდომის დეპოზიტებსა და ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში. კომპანიას არ აქვს ფინანსური აქტივები, რომლებიც არის ან სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ან სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, გარდა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებისა. კომპანიის ფინანსური აქტივები შედის მოკლევადიან აქტივებში, გარდა იმ აქტივებისა, რომელთა ვადა საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 12 თვეზე უფრო ხანგრძლივია. ასეთი სესხები და მისაღები ანგარიშები მიეკუთვნება გრძელვადიან აქტივებს.

კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ▶ ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით, და
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

თავისი სავალუტო რისკების შესამცირებლად კომპანია ფორვარდულ სავალუტო ხელშეკრულებებს იყენებს. ეს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით იმ თარიღით, როდესაც გაფორმდა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაქტი და შემდეგ გადაფასდება სამართლიანი ღირებულებით. სამართლიანი ღირებულებები განისაზღვრება ფორვარდული ფასწარმოქმნის სტანდარტულ მოდელზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებს ემპირიულ (მოპოვებად) და არაემპირიულ ინფორმაციას სპოტ და ფორვარდული სავალუტო კურსების და საპროცენტო განაკვეთების შესახებ. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები აღიარდება ფინანსურ აქტივებად, როდესაც სამართლიანი ღირებულება დადებითია და ფინანსურ ვალდებულებებად - როდესაც სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. ამ ინსტრუმენტებიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება წმინდა საკურსო ზარალის მუხლში.

დებიტორული დავალიანების და ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აფასებს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და ყველა იმ ფულად ნაკადს შორის, რომელთა მიღებასაც კომპანია მოელის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს მიახლოებული განაკვეთით.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

დებიტორული დავალიანებისთვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია, ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის.

ფინანსური აქტივი საკრედიტო რისკით გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როცა მომხდარი ერთი ან მეტი მოვლენა უარყოფითად მოქმედებს მომავალში მოსალოდნელ ფულად ნაკადებზე. გაუფასურებაზე შეიძლება მიანიშნებდეს შემდეგი:

- ▶ კონტრაქტის მნიშვნელოვანი ფინანსური სიმძლევები;
- ▶ შეთანხმების დარღვევა, როგორცაა დეფოლტის ან ვადაგადაცილების შემთხვევა;
- ▶ მოსალოდნელი მსესხებლის გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაცია;
- ▶ კონტრაქტის გადახდების სტატუსში უარყოფითი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია ქვეყნის მასშტაბით ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების ისეთი ცვლილებებით, რომლებიც გავლენას ახდენს მხარეზე.

თუ მომდევნო წლის განმავლობაში სავარაუდო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოცულობა გაიზრდება ან შემცირდება, მანამდე აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები იზრდება ან მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. თუ მომავალი ჩამოწერილი თანხა მოგვიანებით იქნება ამოღებული, ის დაკრედიტდება მოგება-ზარალში სავაჭრო დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვში უარყოფითი ნიშნით, როგორც გაუფასურების შემობრუნება.

რეგულარულად ხდება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების იმ მეთოდოლოგიის და დაშვებების გადახედვა, რომლებიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების განსაზღვრის მიზნით, რათა შემცირდეს სხვაობა მოსალოდნელ და ფაქტობრივ ზარალს შორის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ყოველთვის აღიარებულია რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, რათა აქტივის საბალანსო ღირებულება შემცირდეს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე, რომლებიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

უიმედო აქტივები ჩამოიწერება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის ანგარიშზე მას შემდეგ, რაც აქტივის ამოღებისთვის საჭირო ყველა პროცედურა დასრულდება და ზარალის ოდენობა განისაზღვრება. გარდა ამისა, მომხმარებელს შეუძლია მარეგულირებელს - საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას (სემეკი) – წარუდგინოს განცხადება სამ წელზე მეტი ხნით ვადაგადაცილებული დავალიანების აღიარების შეწყვეტაზე. თუ სემეკი დაამტკიცებს ასეთ განცხადებას, კომპანია ვალდებულია, შეწყვიტოს დებიტორული დავალიანების აღიარება კანონის მიხედვით. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების ჩამოწერისა და მათგან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის დროს გამოყენებული შეფასებები და განსჯა აღწერილია მე-10 შენიშვნაში.

გაცემულ მსესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ხდება ინდივიდუალურად, მსესხებლის ფაქტობრივი ან პირობითი საკრედიტო რეიტინგის მიხედვით, რა დროსაც ასევე გაითვალისწინება მსესხებლის დაკავშირებული მხარეებისგან ფინანსური მხარდაჭერის შესაძლებლობა და სხვა რელევანტური ინფორმაცია, რომელიც ხელმძღვანელობისთვის შეფასების თარიღით არის ხელმისაწვდომი, მათ შორის საპროგნოზო ინფორმაცია, რომელზეც ხელმძღვანელობას ხელი მიუწვდება გაუმართლებელი დანახარჯის ან ძალისხმევის გარეშე.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

რესტრუქტურული დებიტორული დავალიანებები

რესტრუქტურული დებიტორული დავალიანებები მოიცავს იმ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებას, რომლებიც სხვა შემთხვევაში ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული იქნებოდა და რომელთა პირობებიც გადახდილი იქნა. მხოლოდ წყალმომარაგების მომსახურებასთან და ქსელზე უკანონო მიერთებისთვის დაკისრებულ ჯარიმებთან დაკავშირებული სავაჭრო დებიტორული დავალიანების რესტრუქტურირებაა შესაძლებელი. რესტრუქტურირება გამოწვეულია კომპანიის კონტრაქტის ფინანსური სიძნელეებით და აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ფინანსური აქტივის მოდიფიკაცია, ხოლო სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში, რომელიც გამოითვლება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, აისახება მოგებაში ან ზარალში, როგორც მოდიფიცირებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი.

მას შემდეგ, რაც მოხდება პირობებზე ხელახლა შეთანხმება, დებიტორული დავალიანება აღარ მიიჩნევა ვადაგადაცილებულად. ხელშეწყობის მუდმივად ამოწმებს რესტრუქტურირებულ დებიტორული დავალიანებას, რათა დარწმუნდეს რომ შესრულებულია ყველა პირობა და სამომავლო დაფარვები მოსალოდნელია. რესტრუქტურირებული დებიტორული დავალიანების გაუფასურება კვლავ მოწმდება სხვა სავაჭრო დებიტორული დავალიანების ანალოგიურად, რაც ზემოთ არის განხილული.

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა, ან
- ▶ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო თანხების სრულად და მნიშვნელოვანი დაგვიანების გარეშე მესამე მხარეებისთვის გადახდის ვალდებულება „გადაცემის“ ხელშეკრულების თანახმად; და
- ▶ კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

უწყვეტი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, ფასდება უმცირესით აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და იმ მაქსიმალური თანხას შორის, რომლის გადახდაც შესაძლოა კომპანიას დასჭირდეს.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება, მათ შორის ნასესხები სახსრები და სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება, აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, გარდა სამართლიანი ღირებულებით ფლობილი წარმოებული ფინანსური ვალდებულებებისა. კომპანიის ნასესხები სახსრები შედგება ქართული და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სავალო ფასიანი ქაღალდებისგან და სესხებისგან.

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ჩაანაცვლებს მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ჩაანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

ინფრასტრუქტურული აქტივები მოიცავს სისტემების ქსელს, რომელიც შედგება ნედლი წყლის მილსადენებისგან, მთავარი და საკანალიზაციო მილებისგან, აკუმულირებული და ამოტუმბული ნედლი წყლის შესანახი რეზერვუარებისგან და სალექი მილსადენებისგან. საინვესტიციო დანახარჯი ინფრასტრუქტურულ აქტივებზე, რომლებიც უკავშირდება ქსელის გამტარუნარიანობის ზრდას ან ქსელის გაფართოებას და აქტივის შეცვლას ქსელის საოპერაციო შესაძლებლობების შენარჩუნების მიზნით, განიხილება დამატებად და თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო სარემონტო და ტექნიკური მომსახურების ხარჯი, რომელიც არ აღმოჩენს საბაზისო აქტივებს, აღირიცხება საოპერაციო ხარჯად.

კომპანია ფლობს უძრავ ქონებას, რომელიც, ძირითადად, შედგება ადმინისტრაციული შენობებისა და საოპერაციო ობიექტებისგან.

ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში

2019 წლის მეორე ნახევარში კომპანიამ შეცვალა თავისი სააღრიცხვო პოლიტიკა ძირითად საშუალებებთან მიმართებით. კომპანიამ გამოიყენა თვითღირებულების მოდელი, რომლითაც აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურება. პოლიტიკაში ამ ცვლილების შესვლამდე, კომპანია იყენებდა გადაფასების მოდელს, რომლის მიხედვითაც ძირითადი საშუალებები აღირიცხებოდა სამართლიანი ღირებულებით გადაფასების თარიღისთვის და აკლდებოდა შემდგომში დაგროვილი ცვეთა და შემდგომში დაგროვილი გაუფასურების ზარალი. კომპანიას მიაჩნია, რომ თვითღირებულების მოდელი ინვესტირებისთვის უფრო სარწმუნოდ და გასაგებად წარმოადგენს ინფორმაციას, რადგან შედარების მეტ საშუალებას იძლევა. თვითღირებულების მოდელის გამოყენება კომუნალურ სექტორში დამკვიდრებული პრაქტიკაა და მისი გამოყენებით ბუღალტრული აღრიცხვა უფრო შესაბამისობაშია ამ კატეგორიის აქტივებთან დაკავშირებულ ბიზნესსაქმიანობასთან.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება აღრიცხულია რეტროსპექტულად, კერძოდ, თვითღირებულების მოდელით მოხდა ფინანსური ანგარიშგების თითოეული შესაბამისი მუხლის გადანაგარიშება წინა პერიოდებისთვის:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	1 იანვარი, 2018 წ.		
	რეკლასიფი- კაციამდე	ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში	გადაანგარიშებული
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	397,332	(125,363)	271,969
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
არამატერიალური აქტივები	1,809	(292)	1,517
სულ გრძელვადიანი აქტივები	464,086	(125,655)	338,431
სულ აქტივები	534,767	(125,655)	409,112
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	(35,870) ¹	36,218	348
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	171,224	(161,873)	9,351
სულ საკუთარი კაპიტალი	243,458	(125,655)	117,803

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

	31 დეკემბერი, 2018 წ.		
	რეკლასიფი- კაციაზე	ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში	გადაანგარიშებული
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	494,947	(124,440)	370,507
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
არამატერიალური აქტივები	1,083	(149)	934
სულ გრძელვადიანი აქტივები	551,142	(124,589)	426,553
სულ აქტივები	585,561	(124,589)	460,972
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	(7,855)	38,782	30,927
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	171,224	(163,371)	7,853
სულ საკუთარი კაპიტალი	258,200	(124,589)	133,611

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2018		
	რეკლასიფი- კაციაზე	ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში	გადაანგარიშებული
სხვა საოპერაციო ხარჯები / სხვა შემოსავალი წმინდა (ზარალი) / შემოსულობა ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ჩამოწერიდან	(26)	153	127
შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA)	67,998	153	68,151
ცვეთა და ამორტიზაცია	(22,526)	1,223	(21,303)
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	(15,983)	(310)	(16,293)
მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე	28,015	1,066	29,081
წლის მოგება	28,015	1,066	29,081
წლის სრული შემოსავალი, სულ, გადასახადის გათვალისწინებით	28,015	1,066	29,081

¹ გაუნაწილებელი მოგების ნაშთი მოიცავს ფასს 9-ის გამოყენების ეფექტს 6,065 ლარის ოდენობით.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)**

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2018		
	რეკლასიფი- კაციაში	ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში	გადაანგარიშებული
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
დასაბეგრი მოგება	28,015	1,066	29,081
ცვეთა და ამორტიზაცია	22,526	(1,223)	21,303
წმინდა ზარალი/(შემოსულობა) ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან	26	(153)	(127)
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	15,983	310	16,293
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	68,552	–	68,552

სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლის შემდეგ, ძირითადი საშუალებების ყველა კატეგორია აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

უმნიშვნელო რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება ხარჯების ნაწილში მათი გაწევისთანავე. ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის ხარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილები ჩამოიწერება.

აქტივის ცვეთა აითვლება იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი ექსპლუატაციისთვის მზად არის და ხელმისაწვდომია. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებზე. ძირითადი საშუალებების სხვადასხვა კლასის სასარგებლო გამოყენების ვადებია:

	სასარგებლო გამოყენების ვადები
უძრავი ქონება	60 წელი
ინფრასტრუქტურული აქტივები	8-45 წელი
საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	5-10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	10 წელი

აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოდგენს სავარაუდო თანხას, რომელსაც კომპანია აქტივის გასხვისებიდან მიიღებდა, გასხვისების სავარაუდო ხარჯების გამოკლებით, აქტივი უკვე მოძველებული და ისეთ მდგომარეობაში რომ ყოფილიყო, როგორც მოსალოდნელია სასარგებლო გამოყენების ვადის დასრულებისთვის.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება წარმოდგენილია მიწით და შენობა-ნაგებობებით, რომლებიც არსებითად არ არის დაკავებული კომპანიის მიერ ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში გამოსაყენებლად ან გასაყიდად. მათი ფლობის მთავარი მიზანია საიჯარო შემოსავლის მიღება, კაპიტალის ღირებულების გაზრდა ან სამომავლოდ ხელახლა განვითარება, ვიდრე გაირკვევა მათი ექსპლუატაციის ზუსტი დანიშნულება.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად თვითღირებულებით ფასდება და იგი გარიგების დანახარჯებსაც მოიცავს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ საინვესტიციო ქონება აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც ასახავს ანგარიშგების თარიღისთვის არსებულ საბაზრო პირობებს. საინვესტიციო ქონების სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეული შემოსულობა ან ზარალი აღირიცხება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი წარმოიშვა.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მათი გასხვისების დროს ან როდესაც საინვესტიციო ქონების ექსპლუატაციიდან საბოლოოდ ხდება ამოღება და მოსალოდნელი არ არის მათი გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის აღიარება ხდება აღიარების შეწყვეტის პერიოდის მოგებაში ან ზარალში. საკუთარ კაპიტალში საინვესტიციო ქონების გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაში, როდესაც გადაფასებით მიღებული ნამეტის რეალიზება ხორციელდება აქტივის ჩამოწერის ან გასხვისების საფუძველზე.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა მათზე ინფორმაცია წარმოდგენილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალია. თუ მოსალოდნელი გახდება ფულადი ნაკადების გადინება, კომპანია შესაბამის დავალიანებისთვის რეზერვებს აღიარებს და დაარიცხავს რეზერვებს. პირობითი აქტივების აღიარება არ ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ თითქმის გარანტირებული არ არის ანაზღაურება (რაც, ძირითადად, სადაზღვევო კომპანიებისგან ანაზღაურების მიღების დროს ხდება), მაგრამ მათი გაცხადება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთა სასარგებლო გამოყენების ვადა სასრულია, აისახება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის მოპოვებულ ლიცენზიებს, რომელთა ამორტიზაცია ხორციელდება წრფივი მეთოდით მათი მოსალოდნელი საექსპლუატაციო ვადის განმავლობაში (3-5 წელი), დაწყებული იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი ხელმისაწვდომი გახდა მოხმარებისთვის.

გაუფასურების შემთხვევაში არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება შემცირდება მათი გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უფრო მაღალ ღირებულებამდე.

გადასახადით დაბეგვრა

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით განაწილებული მოგება იმ პარტნიორებზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში. დივიდენდების განაწილებაზე გადასახადი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოკლებები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. კომპანიებს უფლება აქვთ, ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, მოგების გადასახადით ასევე იბეგრება წყლის ზენორმატიული დანაკარგები. სემეკის მიერ გამოქვეყნებული რეგულაციის მიხედვით, ნორმატიული დანაკარგების ზღვარი გაიზარდა და ამიტომ კომპანია არ მოელის შესაბამისი გადასახადების დაკისრებას. შესაბამისად, მიიჩნევა, რომ ასეთი გარიგებების დაბეგვრა არ ექვევება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალში და აღირიცხება, როგორც არარეგულარული ხარჯი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ღირებულება მოიცავს უშუალოდ მასალებისა და, შესაბამის შემთხვევებში, შრომის პირდაპირ დანახარჯებს და იმ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა მარაგების მათ ამჟამინდელ მდებარეობასა და მდგომარეობამდე მისაყვანად. მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, რომელსაც აკლდება დასრულების და რეალიზაციის ხარჯი.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. გადახდილი ავანსები მაშინ კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც გადახდილი ავანსებთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება ერთი წლის შემდეგაა მოსალოდნელი ან მაშინ, როდესაც გადახდილი ავანსები უკავშირდება აქტივს, რომელიც, პირველადი აღიარებისას, თვითონ იქნება კლასიფიცირებული გრძელვადიანად. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როგორც კი კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და მოელის აქტივიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღებას. სხვა გადახდილი ავანსები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში, როდესაც კომპანია მიიღებს გადახდილ ავანსთან დაკავშირებულ საქონელს ან მომსახურებას.

თუ არსებობს მინიშნება, რომ კომპანიამ შესაძლოა ვერ მიიღოს გადახდილ ავანსთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი ან მომსახურება, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება მიმდინარე წლის მოგებაში ან ზარალში.

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში და შეზღუდული წვდომის დეპოზიტები

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში მოიცავს მოთხოვნამდე ანაზრებს ბანკში, რომელთა თავდაპირველი ვადა შეადგენს სამ თვეს ან ნაკლებს და რომლებიც ექვემდებარება ღირებულების ცვლილებასთან დაკავშირებულ უმნიშვნელო რისკს. ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის, შეზღუდული წვდომის ფულადი ნაშთები გამოირიცხება ნაღდი ფულის ნაშთიდან ბანკში. ნაშთები, რომელთა კომპანიის სურვილისამებრ დაუყოვნებლივ გამოყენება სავალუტო ოპერაციებში ან ვალდებულების დასაფარად შეზღუდულია, ცალკე აისახება შეზღუდული წვდომის დეპოზიტებში.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის ნებადართული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (საწესდებო კაპიტალთან, წილობრივ მონაწილეობასთან და სხვ. დაკავშირებული ცვლილებების ჩათვლით) შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის მეწილეების გადაწყვეტილების საფუძველზე. ნებადართული კაპიტალის აღიარება საწესდებო კაპიტალად ხდება კომპანიის საკუთარ კაპიტალში მისი შეტანის შემთხვევაში.

დივიდენდები

დივიდენდები ტარდება, როგორც ვალდებულება და იქვეითება საკუთარი კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც მათი გამოცხადება და დამტკიცება ხდება.

დამატებული ღირებულების გადასახადი

დამატებული ღირებულების გადასახადის ვალდებულება წარმოიშობა საქონლის მიწოდებისას ან მომსახურების გაწევის მომენტში. დღგ-ის ჩასათვლელი თანხის აღიარება ხდება მომწოდებლისგან საგადასახადო ანგარიშგაქტურის მიღების მომენტში, მაგრამ მისი მიღება ხდება ბრუნვაზე გადახდილი დღგ-ის თანხიდან მხოლოდ ამ ანგარიშგაქტურის გადახდისას. საგადასახადო კანონმდებლობით ნებადართულია დღგ-ის გადახდა ნეტო-საფუძველზე. შესაბამისად, ყიდვა-გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ, რომლის გადახდაც ხორციელდება საანგარიშო პერიოდის დასრულებისას, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნეტო-საფუძველზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აისახება დებიტორის დავალიანების მთლიანი თანხისთვის, დღგ-ის ჩათვლით.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებულ საპროცენტო ხარჯსა და უცხოურ ვალუტაში მიღებული სესხებით გამოწვეულ საკურსო სხვაობებს იმდენად, რამდენადაც ისინი ითვლება საპროცენტო ხარჯების კორექტირებად. ისეთი აქტივის შეძენისთვის ან მშენებლობისთვის უშუალოდ მიკუთვნებადი სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლის მიზნობრივი მოხმარებისთვის ან რეალიზაციისთვის მომზადებასაც საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, კაპიტალიზდება, როგორც შესაბამისი აქტივის თვითღირებულების ნაწილი. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანარჩენი დანახარჯი დადგომისთანავე გატარდება პერიოდის ხარჯად. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების ის ოდენობა, რომელიც ექვემდებარება კაპიტალიზაციას, განისაზღვრება, როგორც ამ კონკრეტულ სესხთან დაკავშირებით ქონების მშენებლობის ფაზაში ფაქტობრივად გაწეული დანახარჯები. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაციის ნორმა 2019 წელს 8.5% იყო (2018 წ.: 5.5%).

ვალდებულებების რეზერვი და რეზერვის დარიცხვა

ვალდებულებების რეზერვები არის არაფინანსური ვალდებულებები, რომელთა მთავარი მახასიათებელია დაუზუსტებელი დრო და თანხის ოდენობა. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე იურიდიული თუ არასახელშეკრულებო ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ განსაზღვრა.

მსგავსი ვალდებულებების არსებობის დროს, ალბათობა იმისა, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება რესურსების გადინება, განისაზღვრება ვალდებულებების კლასის, როგორც ერთი მთლიანის გათვალისწინებით.

თუ კომპანია მოელის რეზერვის ანაზღაურებას, მაგალითად სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე, ანაზღაურების აღიარება ხდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება გადაწყვეტილია.

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია წარმოადგენს მხარეს სასამართლო პროცესებში. საანგარიშგებო თარიღისთვის, ხელმძღვანელობა არ არის ინფორმირებული კომპანიის მიმართ რაიმე ფაქტობრივი, მიმდინარე ან მოსალოდნელი სარჩელების შესახებ, რომლებსაც შეიძლება არსებითი გავლენა ჰქონდეს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

ხელმძღვანელობის აზრით, შეუძლებელია იმის ზუსტად განსაზღვრა, თუ როდის მოხდება რეზერვის სრულად გამოყენება, ვინაიდან თითოეული სარჩელი არაერთ სასამართლო პროცესსა და გასაჩივრების პროცედურას გადის. თუმცა, ხელმძღვანელობა ყველა საქმის გადაწყვეტას მომდევნო სამი წლის განმავლობაში მოელის. ამასთან, გაურკვეველია, დაკმაყოფილება თუ არა ესა თუ ის სარჩელი და უცნობია სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება თითოეულ მათგანზე. იურისტებთან კონსულტაციების შემდეგ, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ეს იურიდიული სარჩელები არ მიაყენებს კომპანიას მნიშვნელოვან ზარალს იმ თანხებზე მეტი ოდენობით, რომლებიც ასახულია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA)

კომპანია ცალკე წარმოადგენს შემოსავალს პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA) მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. EBITDA არ არის განმარტებული ფასს-ში და კომპანია მას განსაზღვრავს, როგორც შემოსავალს პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე და გამოითვლის, როგორც თავის დასაბეგრ მოგებას, რომელშიც არ შეყავს შემდეგი მუხლები: ცვეთა და ამორტიზაცია, საპროცენტო შემოსავალი, დაფინანსების ხარჯები, წმინდა საკურსო ზარალი, შემოსულობა არაპროფილური აქტივების გაყიდვიდან და არარეგულარული ხარჯები.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსულობა არაპროფილური აქტივების გაყიდვიდან

კომპანია ფლობს გარკვეულ ძირითად საშუალებებს და საინვესტიციო ქონებას, რომლებსაც აღარ იყენებს ყოველდღიურ საქმიანობაში. ასეთი აქტივების ჩამოწერის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ცალკე აისახება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ცვლილებები წარდგენაში

2019 წელს კომპანიამ შეცვალა თავისი მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების წარდგენა, კერძოდ, ცალკე წარმოადგინა შემოსულობა არაპროფილური აქტივების რეალიზაციიდან (რაც მანამდე სხვა შემოსავალში აისახებოდა).

არარეგულარული ხარჯები

კომპანია ცალკე ახდენს არარეგულარული ხასიათის შემოსავლისა და ხარჯების კლასიფიცირებასა და გაცხადებას. არარეგულარული ხასიათის შეიძლება ნებისმიერი ტიპის შემოსავალი ან ხარჯი იყოს. კომპანია არარეგულარულ შემოსავალს ან ხარჯს განსაზღვრავს, როგორც უჩვეულო ეკონომიკური, ბიზნესის ან ფინანსური მოვლენის შედეგად განპირობებულ ან მისგან გამომდინარე შემოსავალს ან ხარჯს, რომელიც არ არის კომპანიის ჩვეულებრივი და რეგულარული საქმიანობისთვის დამახასიათებელი და გამოწვეულია წინასწარ გაურკვეველი და არაპროგნოზირებადი გარე ფაქტორებით.

ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და სურვილი, რომ მოხდეს ან შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთგაქვითვა, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

სამუშაო ვალუტები და უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე კომპანიის სამუშაო ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარიგებები თავდაპირველად აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაანგარიშება სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. იმ არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი გარიგების დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, გადაანგარიშდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. როდესაც ხდება არაფულადი მუხლის შემოსულობის ან ზარალის აღიარება სხვა სრულ შემოსავალში, ამ შემოსულობის ან ზარალის ყოველი საკუროსო კომპონენტი აღირიცხება სხვა სრულ შემოსავალში. ხოლო როდესაც ხდება არაფულადი მუხლის შემოსულობის ან ზარალის აღიარება სხვა მოგებაში ან ზარალში, ამ შემოსულობის ან ზარალის ყოველი საკუროსო კომპონენტი აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით ან უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სხვა ოპერაციებით გამოწვეული შემოსულობა და ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, როგორც წმინდა საკუროსო ზარალი.

სხვაობები გარკვეული გარიგების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სავალუტო კურსსა და საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს ასახულია შემოსულობის თანხით შემცირებულ საკუროსო ზარალში. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, იყო 3.2095 და 3.0701 ლარი 1 ევროსთან მიმართებით.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია აკმაყოფილებს სახელშეკრულებო ვალდებულებას იმ ოდენობით, რომელიც უტოლდება საზღაურს, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოიპოვებს საქონლის ან მომსახურების კლიენტისთვის გადაცემით. კომპანიის შემოსავლების ძირითად კლასებზე ვრცელდება შემდეგი კონკრეტული პრინციპები:

შემოსავალი წყალმომარაგებიდან

შემოსავალი წყალმომარაგებიდან დროთა განმავლობაში აღიარდება, როცა დაკმაყოფილდება ერთი სახელშეკრულებო ვალდებულება - მომხმარებლისთვის წყლის მიწოდება. მომხმარებლისთვის გამოწერილი ქვითრები მოიცავს წყალმომარაგების მომსახურების საფასურს, ასევე წყალმომარაგების ქსელზე მიერთებისა და წყლის მრიცხველის დამონტაჟების ღირებულებას.

იურიდიული პირების წყალმომარაგებიდან მიღებულ შემოსავალში შედის კომერციული მომხმარებლებისთვის გამოწერილი ქვითრების თანხები მრიცხველის ჩვენებისა და პროგნოზის მიხედვით წყლის მოხმარების საფუძველზე და მიწოდებული წლის ერთეულისთვის დაწესებული მომსახურების ტარიფის გამოყენებით. მრიცხველის წაკითხვა ციკლურად ხორციელდება და კომპანია დაურიცხავი თანხებისთვის შემოსავლის აღიარებას ახორციელებს ბოლო გადასახადიდან ფინანსური წლის ბოლომდე განსაზღვრული სავარაუდო მოხმარების საფუძველზე.

შემოსავალი ფართო მოსახლეობის წყალმომარაგებიდან - მოიცავს თანხებს, რომლებიც ყოველთვიურად ერიცხება საყოფაცხოვრებო მომხმარებლებს მოხმარებული წყლის მოცულობის საფუძველზე (მრიცხველის ჩვენების მიხედვით) და მიწოდებული წყლის თითოეული ერთეულისთვის განსაზღვრული შესაბამისი ტარიფების გამოყენებით. საყოფაცხოვრებო მომხმარებლების შემთხვევაში, რომლებსაც არ აქვთ დამონტაჟებული მრიცხველები, შემოსავლის აღიარება ხდება თითოეულ მისამართზე ქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ რეგისტრირებული მაცხოვრებლების რაოდენობის მიხედვით, ერთ სულ მოსახლეზე თვიური ტარიფის გამოყენებით.

წყლის მრიცხველების დამონტაჟებისთვის დაკისრებულ გადასახადში შედის სემეკის წესების შესაბამისად საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის გამოწერილი ქვითრების თანხები. ამ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება ხდება დროთა განმავლობაში, როდესაც კომპანია მიაწვდის წყალს შესაბამის მომხმარებელს, და შემოსავლის აღიარება ხდება მომსახურების ამ პერიოდში. მრიცხველების სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადად 10 წელი მიიჩნევა. შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი პერიოდის განმავლობაში.

ქსელზე მიერთების მომსახურებისთვის დაკისრებული გადასახადი მოიცავს დაუბრუნებად თანხებს, რომლებიც წინასწარ ეკისრებათ მომხმარებლებს ქსელზე მიერთებისა და წყალმომარაგებისთვის. ქსელზე მიერთების საფასურის აღიარება წყალმომარაგებიდან მიღებული შემოსავლის სახით ხდება დროთა განმავლობაში, შესაბამისი მომხმარებლის მიმართ წყლის მიწოდების ვალდებულების შესრულების პარალელურად, წყლის მრიცხველების ექსპლუატაციის ვადის განმავლობაში.

2019 წელს კომპანიამ შეცვალა ქსელთან მიერთებისა და წყლის მრიცხველების დამონტაჟების საფასურის წარდგენის წესი და ის წარმოადგინა წყალმომარაგებიდან და მასთან დაკავშირებული მომსახურებიდან მიღებულ შემოსავალში, ვინაიდან ჩათვალა, რომ ასეთი წარდგენა შესაბამისი ხელშეკრულებების ფარგლებში შესასრულებელი მოვალეობის ხასიათს უფრო შეესაბამებოდა. მიმდინარე პერიოდის კლასიფიკაციასთან შესაბამისობაში მოსაყვანად, მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის შედარებად ანგარიშგებაში შემდეგი ცვლილებები შევიდა:

	2018		
	რეკლასიფი- კაციაზე	ცვლილება წარდგენაში	რეკლასიფი- კაციის შემდეგ
შემოსავალი წყალმომარაგებიდან და მასთან დაკავშირებული მომსახურებიდან	118,679	3,439	122,118
სხვა შემოსავალი	4,675	(3,439)	1,236

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლის და ხარჯის აღიარება (გაგრძელება)

შემოსავალი ელექტროენერგიის რეალიზაციიდან

ელექტროენერგიის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მრიცხველით აღრიცხული მიწოდებული ელექტროენერგიის მოცულობის საფუძველზე და მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების ფიქსირებული ფასის გამოყენებით. მომხმარებლები, როგორც წესი, ვალდებული არიან, გადაიხადონ შესაბამისი ნაშთები მომდევნო თვის ბოლომდე.

შემოსავალი ქსელზე უკანონოდ მიერთების მომსახურებაზე დაკისრებული ჯარიმებიდან

ქსელთან უკანონოდ მიერთების მომსახურებასთან დაკავშირებული ჯარიმებიდან მიღებული შემოსავალი მოიცავს გამოვლენილი უკანონო მიერთებისთვის მომხმარებლებზე დაკისრებული ჯარიმების თანხებს. ქვითრების გამოწერა ხდება სემეკის მიერ დაწესებული შესაბამისი ტარიფების საფუძველზე.

ელექტროენერგიის და გადაცემის ხარჯები

ელექტროენერგიის და გადაცემის ხარჯებში შედის ელექტროენერგიის გარანტირებული სიმძლავრისთვის, ტრანზიტისა და განაწილებისთვის და ასევე სადგურების გამართული ფუნქციონირებისთვის გადახდილი თანხები.

საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც მოსალოდნელ სამომავლო ფულად გადახდებს/შემოსავლებს ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის, ან სადაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში ადისკონტირებს ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას და დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ კომპანია გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება, როგორც საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი.

როდესაც ფინანსური აქტივის თუ მსგავსი აქტივების ჯგუფის ღირებულება მცირდება გაუფასურების ზარალის გამო, და ეს აქტივი აკმაყოფილებს საკრედიტო რისკით გაუფასურებულის განმარტებას, საპროცენტო შემოსავლის აღიარება გრძელდება ახალ საბალანსო ღირებულებაზე თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები, წილობრივი ანაზღაურება და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ.

თანამშრომლებისთვის აქციების გადაცემის სქემა

აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციები

კომპანიის უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობა იღებს აქციებზე დაფუძნებულ ანაზღაურებას, კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანიის - ჯორჯია კაპიტალის წილობრივი ინსტრუმენტების სახით. წილობრივ უფლებებს ჯორჯია კაპიტალი ანიჭებს. ანაზღაურება, რომლის დაფარვის ვალდებულება კომპანიას არ აქვს, აღირიცხება, როგორც წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული ოპერაციები (მაშინაც კი, თუ კომპანიამ შეიძლება წილობრივი ინსტრუმენტების გაცემასთან დაკავშირებული დანახარჯი დაუკომპენსიროს ანაზღაურების დამფარავ სუბიექტს, რომლის აღიარებაც ხდება შესაბამისი გადახდის თარიღისთვის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში სხვა რეზერვებიდან გამოქვითვის სახით).

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

თანამშრომლებისთვის აქციების გადაცემის სქემა (გაგრძელება)

ოპერაციები წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით

თანამშრომლებთან წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული გარიგებების ხარჯი ფასდება გადაცემის თარიღისთვის მათი სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. აქციების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღისთვის საბაზრო ფასებზე დაყრდნობით.

წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული გარიგებების ღირებულების აღიარება, კაპიტალში დამატებითი შენატანების შესაბამის ზრდასთან ერთად, ხდება იმ პერიოდში, რომლის განმავლობაშიც შესრულდა სამუშაო და/ან გაიწია მომსახურება, დასრულებული იმ თარიღით, როდესაც შესაბამის თანამშრომლებს სრულად გადაეცა აქციების ფლობის უფლება (შემდგომში “უფლების გადაცემის თარიღი”). უფლების გადაცემის თარიღამდე ანგარიშგების ყოველი თარიღით, აღიარებული წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული გარიგებების მთლიანი ხარჯი აისახება უფლების გადაცემის პერიოდის ამოწურვის პროპორციულად და იმ წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობის მიხედვით, რომლებიც კომპანიის შეფასებით გაცემული იქნება უფლების გადაცემის თარიღისათვის. კომპანიის თანამშრომლებისთვის გადაცემული აქციებისთვის მშობელ კომპანიასთან ანგარიშსწორება აღირიცხება სხვა რეზერვების შემცირების სახით.

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ანგარიშგების მიმდინარე პერიოდისთვის ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა:

- ▶ ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“;
- ▶ ცვლილებები ფასს (IFRS) 3-ში „საწარმოს განმარტება“;
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 1-სა და ბასს (IAS) 8-ში: „მასალის განმარტება“;
- ▶ ცვლილებები ფასს (IFRS) 9-ში, ბასს (IAS) 39-სა და ფასს (IFRS) 7-ში „საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთის შესწორება“;
- ▶ ცვლილება ბასს (IAS) 1-ში „ვალდებულებების კლასიფიკაცია“.

ეს ახალი სტანდარტები, სავარაუდოდ, არ მოახდენენ არსებით გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია მიმართავს გარკვეულ შეფასებს და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლისთვის. შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაისინჯება და ყურდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ქვემოთ მოცემულია გადაწყვეტილებები, რომლებსაც აქვს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს მომდევნო ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება:

საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება ყოველწლიურად განისაზღვრება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე დამოუკიდებელი პროფესიონალი შემფასებლების მიერ. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შემოსავლის მეთოდისა და გაყიდვების შედარების მეთოდის ერთობლივი გამოყენებით (მე-8 შენიშვნა).

ძირითადი საშუალებების შეფასება

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებების აღრიცხვის პოლიტიკაში ნებაყოფლობითი ცვლილების (მე-7 შენიშვნა) პარალელურად, კომპანიამ ჩაატარა ძირითადი საშუალებების გაუფასურების ტესტირება. თვითღირებულების მოდელის მიხედვით გაუფასურების წესების შესასრულებლად, კომპანიამ ერთმანეთისგან გამიჯნა წყალმომარაგებისა და წყალარინების მომსახურების და ელექტროენერგიის წარმოებისა და რეალიზაციის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები. სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლისა და თვითღირებულების მოდელზე გადასვლის შედეგად, მანამდე განსაზღვრული სამართლიანი ღირებულების ზედმეტობა ელექტროენერგიის წარმოებისა და რეალიზაციის ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებში აღარ ექვემდებარებოდა აღიარებას, ხოლო წყალმომარაგებისა და წყალარინების მომსახურების ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების გამოყენების ღირებულების დაგროვილი დეფიციტის გამო, რამაც პირვანდელ ღირებულებაზე ნაკლები შეადგინა, ძირითადი საშუალებები 46,537 ლარის ოდენობით გაუფასურდა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ამ თარიღისთვის ელექტროენერგიის წარმოებისა და რეალიზაციის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურება არ დაფიქსირებულა.

კომპანია რეგულარულად ახდენს გაუფასურების ნიშნების ანალიზს ბასს (IAS) 36-ის „აქტივების გაუფასურება“ შესაბამისად. 2019 და 2018 წლებში კომპანიამ, ანალიზის შედეგად, ვერ აღმოაჩინა ძირითადი საშუალებების გაუფასურების ან მანამდე აღიარებული გაუფასურების აღდგენის ნიშნები.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა

ძირითადი საშუალების შემადგენელი ცალკეული ერთეულების სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასება დამოკიდებულია ხელმძღვანელობის დაშვებებზე, რომლებიც ეფუძნება მსგავს აქტივებთან წარსულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, სადაც ხდება აქტივის გამოყენება. რომელიმე ან პირობაში ან შეფასებაში მომხდარმა ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს სამომავლო ცვეთის კოეფიციენტების კორექტირება. ახალი დამატებების სასარგებლო გამოყენების ვადები განისაზღვრება სემეკის მოთხოვნების შესაბამისად.

სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

კომპანიამ სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად გამარტივებული მეთოდი გამოიყენა. დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი ეფუძნება კომპანიის მიერ კონკრეტული მომხმარებლისგან თანხების ამოღების შესაძლებლობის შეფასებას. კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები 90 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კოლექტიური შეფასების მიზნით, დებიტორული დავალიანებები დაჯგუფებულია შემოსავლების კლასების, ვადაგადაცილებული დღეების და თითოეული კონტრაქტის აქტიური/პასიური სტატუსის მიხედვით. ეს მახასიათებლები მნიშვნელოვანია ასეთი აქტივების ჯგუფების სამომავლო ფულადი ნაკადების გასაანგარიშებლად, რადგან მიაწინებს დებიტორის უნარზე, გადაიხადოს დავალიანება სრულად შეფასებული აქტივების სახელშეკრულებო პირობების თანახმად.

თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის ახლდება გადაუხდელობის (დეფოლტის) ისტორიული მაჩვენებლები და ხდება საპროგნოზო შეფასებებში მომხდარი ცვლილებების გაანალიზება. პროგნოზისთვის მნიშვნელოვანია გადაუხდელობის ისტორიულ მაჩვენებლებს, პროგნოზირებულ ეკონომიკურ პირობებსა და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს შორის კორელაციის დადგენა. იშვიათ შემთხვევებში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობა მგრძნობიარეა გარემოებებში და ეკონომიკური პირობების პროგნოზებში ცვლილებების მიმართ. კომპანიის მიერ წარსულში განცდილი საკრედიტო ზარალი და ეკონომიკური პირობების პროგნოზი შეიძლება ვერ ითვალისწინებდეს მომავალში მომხმარებლის მხრიდან რეალურ გადაუხდელობას.

სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებით აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობამ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 20,335 ლარი შეადგინა (2018 წ: 15,435 ლარი) (მე-10 შენიშვნა).

6. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ

ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა კომპანიის ორ საოპერაციო სეგმენტად დაყოფა გაყიდული პროდუქტებისა და გაწეული მომსახურებების მიხედვით:

ელექტროენერგიის წარმოება და რეალიზაცია

კომპანია ფლობს ჰიდროელექტროსადგურებს, რომელთა მიერ წარმოებული ელექტროენერგია გამოიყენება საკუთარი მოხმარებისთვის და გარე მომხმარებლებისთვის მისაყიდად.

წყალმომარაგებისა და წყალარინების მომსახურება

კომპანია სწევს წყალმომარაგებისა და წყალარინების მომსახურებას, რომელიც მისი ძირითადი საქმიანობაა.

ხელმძღვანელობა აკონტროლებს თავისი სეგმენტების საოპერაციო შედეგებს ცალ-ცალკე, რათა მიიღოს გადაწყვეტილებები რესურსების განაწილებასა და შესრულებული საქმიანობის შეფასებაზე. სეგმენტის საქმიანობა, როგორც ქვემოთ არის აღწერილი, ფასდება ფასს-ების შესაბამისად ისევე, როგორც მოგება ან ზარალი ფინანსურ ანგარიშგებაში.

ოპერაციები ამ სეგმენტებს შორის აღირიცხება ოპერაციების ფაქტობრივი ფასებით.

კომპანიის საქმიანობა კონცენტრირებულია საქართველოში. კომპანიის ყველა გრძელვადიანი აქტივი მდებარეობს საქართველოში.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

6. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ (გაგრძელება)

	შენიშვნა	ელექტრო- ენერგიის წარმოება, 2019	წყალმომარა- გებისა და წყალარინების მომსახურება, 2019	სეგმენტ- შორისი გარიგებები, 2019	სულ, 2019
შემოსავალი წყალმომარაგებიდან და მასთან დაკავშირებული მომსახურებიდან		–	124,084	–	124,084
შემოსავალი ელექტროენერგიის რეალიზაციიდან ¹		22,826	–	(3,775)	19,051
სხვა შემოსავალი		–	1,759	–	1,759
სულ შემოსავალი	1	22,826	125,843	(3,775)	144,894
ელექტროენერგიის და გადაცემის ხარჯები	2	(86)	(15,793)	3,775	(12,104)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(1,964)	(16,366)	–	(18,330)
სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი		–	(5,958)	–	(5,958)
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა		(79)	(4,403)	–	(4,482)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		(149)	(3,111)	–	(3,260)
პროფესიული გასამრჯელო		(36)	(2,028)	–	(2,064)
ნედლეული, საწვავი და სხვა სახარჯი მასალები		(75)	(2,348)	–	(2,423)
ტექნიკური მომსახურების ხარჯი		(24)	(1,809)	–	(1,833)
რეზერვის შემობრუნება და იურიდიულ სარჩელებთან დაკავშირებული ხარჯები		–	(120)	–	(120)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(2,743)	(14,884)	–	(17,627)
სხვა შემოსავალი		10	3,622	–	3,632
შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA)		17,680	62,645	–	80,325
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	3	–	9,442	–	9,442
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	3	(2,527)	(20,136)	–	(22,663)
საკუროსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა/(ზარალი)		(639)	(5,092)	–	(5,731)
ცვეთა და ამორტიზაცია		(1,633)	(24,082)	–	(25,715)
შემოსულობა არაპროფილური აქტივების გაყიდვიდან		–	2,364	–	2,364
არარეგულარული ხარჯი, წმინდა მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე	4	(1,431)	(1,394)	–	(2,825)
		11,450	23,747	–	35,197
მოგების გადასახადის ხარჯი		–	–	–	–
წლის მოგება და სხვა სრული შემოსავალი		11,450	23,747	–	35,197

¹ ელექტროენერგიის რეალიზაციიდან მიღებული მთლიანი შემოსავლის 64% ერთ მომხმარებელზე მოდის.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

6. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ (გაგრძელება)

		ელექტრო- ენერგიის წარმოება, 2018 (გადაანგა- რიშებული)*	წყალმომარა- გებისა და წყალარინების მომსახურება, 2018 (გადაანგა- რიშებული)*	სეგმენტ- შორისი გარიგებები, 2018	სულ, 2018 (გადაანგა- რიშებული)*
	შენიშვნა				
შემოსავალი წყალმომარაგებიდან და მასთან დაკავშირებული მომსახურებიდან			122,118	–	122,118
შემოსავალი ელექტროენერგიის რეალიზაციიდან		10,060	–	(3,999)	6,061
სხვა შემოსავალი		–	1,236	–	1,236
სულ შემოსავალი	1	10,060	123,354	(3,999)	129,415
ელექტროენერგიის და გადაცემის ხარჯები	1	(90)	(17,135)	3,999	(13,226)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	2	(1,782)	(15,436)	–	(17,218)
სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი		–	(4,064)	–	(4,064)
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა		(299)	(3,454)	–	(3,753)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		(117)	(3,347)	–	(3,464)
პროფესიული გასამრჯელო		(20)	(2,371)	–	(2,391)
ნედლეული, საწვავი და სხვა სახარჯი მასალები		(60)	(1,951)	–	(2,011)
ტექნიკური მომსახურების ხარჯი		(5)	(2,130)	–	(2,135)
რეზერვის შემობრუნება და იურიდიულ სარჩელებთან დაკავშირებული ხარჯები		–	(231)	–	(231)
სხვა საოპერაციო ხარჯები ¹	5	(1,981)	(14,309)	–	(16,290)
სხვა შემოსავალი		13	3,506	–	3,519
შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA)		5,719	62,432	–	68,151
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	3	–	8,364	–	8,364
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	3	(1,955)	(14,338)	–	(16,293)
საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა/(ზარალი)		–	(3,804)	–	(3,804)
ცვეთა და ამორტიზაცია		(930)	(20,373)	–	(21,303)
არარეგულარული ხარჯი, წმინდა	4	(2,581)	(3,453)	–	(6,034)
მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე		253	28,828	–	29,081
მოგების გადასახადის ხარჯი		–	–	–	–
წლის მოგება და სხვა სრული შემოსავალი		253	28,828	–	29,081

* სხვა საოპერაციო ხარჯები, ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები, ცვეთა და ამორტიზაცია არ შეესაბამება 2018 წლის სეგმენტის ანგარიშგებას, ვინაიდან ისინი ასახავს მე-4 შენიშვნაში აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების შესაბამის კორექტირებებს.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

6. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ (გაგრძელება)

შემოსავლისა და დანახარჯის ელემენტების უმეტესობა პირდაპირ იყო მიკუთვნებადი შესაბამისი სეგმენტებისთვის. ხელმძღვანელობის მიერ შემოსავლისა და დანახარჯების ელემენტების განაწილებისთვის გამოყენებული პრინციპები და მეთოდები, რომლებიც პირდაპირ ვერ მიკუთვნება შესაბამის საოპერაციო სეგმენტებს:

1. **შემოსავალი** – 2019 და 2018 წლებში კომპანია მოიხმარდა ჟინვალის ჰესისა და თეთრიხევი ჰესის შიდა წარმოებულ ელექტროენერგიას. 2019 წელს სეგმენტის შესახებ ინფორმაციის გაცხადების მიზნებისთვის, შიდა გამოყენებული ელექტროენერგიიდან შემოსავალი აღირიცხა სემკის მიერ რეგულირებადი ტარიფით (2017 წლის 27 დეკემბრით დათარიღებული დადგენილება #50).
2. **ხელფასები და სარგებლები** – ადმინისტრაციის გარდა სხვა პერსონალის ხელფასებისა და სარგებლის ხარჯები მიკუთვნა შესაბამის სეგმენტებს ფაქტობრივი დანახარჯების საფუძველზე. ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასები და სარგებლები განაწილდა პროპორციულად თითოეულ საოპერაციო სეგმენტში თანამშრომლების რაოდენობის მიხედვით.
3. **საპროცენტო შემოსავალი და ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები** განაწილდა თითოეული სეგმენტიდან მიღებული ნასესხები სახსრების ოდენობის მიხედვით.
4. **არარეგულარული ხარჯები** მოიცავს არასაოპერაციო საგადასახადო ხარჯებს და წმინდა შემოსავალს წილის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლისას აქტივების გადაცემიდან (27-ე შენიშვნა), რომელთაგან ორივე პირდაპირ არის მიკუთვნებადი წყალმომარაგებისა და წყალარინების მომსახურების სეგმენტისთვის, და თანამშრომელთა წილობრივი ინსტრუმენტებით ანაზღაურების აქსელერაციის ხარჯსა და შრომითი საქმიანობის შეწყვეტის გასამრჯელოს, რომელთაგან ორივე თანაბრად ნაწილდება თითოეული სეგმენტზე.

7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მოძრაობა 2019 წელს ასეთი იყო:

	მიწის ნაკვეთები	უძრავი ქონება	ინფრა- სტრუქტურული აქტივები	სატრანსპორტო საშუა- ლებები	საოფისე აღჭურ- ვილობა და ინვენტარი	დაუმთავ- რებელი მშენებლობა	სულ
პირვანდელი ღირებულება							
2018 წლის 31 დეკემბრის							
მდგომარეობით							
(გადაანგარიშებული)	1,863	21,702	465,573	24,378	6,152	50,519	570,187
შემოსვლები	–	2	13,429	–	72	74,650	88,153
გასვლები	(78)	(927)	(38)	(1,368)	(3)	(272)	(2,686)
შიდა გადაცემა	1,905	2,594	86,162	4,304	380	(95,345)	–
31 დეკემბერი, 2019 წ.	3,690	23,371	565,126	27,314	6,601	29,552	655,654
დარიცხული ცვეთა და							
გაუფასურება							
31 დეკემბერი, 2018 წ.							
(გადაანგარიშებული)	173	8,551	177,431	8,944	3,461	1,120	199,680
ცვეთის დანარიცხი	–	371	21,634	2,124	673	–	24,802
გასვლები	–	(371)	(4)	(733)	(2)	–	(1,110)
შიდა გადაცემა	6	10	266	13	1	(296)	–
31 დეკემბერი, 2019 წ.	179	8,561	199,327	10,348	4,133	824	223,372
წმინდა საბალანსო							
ღირებულება							
31 დეკემბერი, 2018 წ.							
(გადაანგარიშებული)	1,690	13,151	288,142	15,434	2,691	49,399	370,507
31 დეკემბერი, 2019 წ.	3,511	14,810	365,799	16,966	2,468	28,728	432,282

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

7. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების მოძრაობა 2018 წელს ასეთი იყო:

	მიწის ნაკვეთები	უძრავი ქონება	ინფრა- სტრუქტუ- რული აქტივები	სატრან- სპორტო საშუა- ლებები	საოფისე აღჭურ- ვილობა და ინვენტარი	დაუმთავ- რებელი მშენებლობა	სულ
პირვანდელი ღირებულება							
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	1,411	18,089	368,690	23,525	4,960	34,474	451,149
შემოსვლები	74	21	14,641	48	166	104,255	119,205
გასვლები	(4)	(4)	(156)	–	(3)	–	(167)
შიდა გადაცემა	382	3,596	82,398	805	1,029	(88,210)	–
31 დეკემბერი, 2018 წ. (გადაანგარიშებული)	1,863	21,702	465,573	24,378	6,152	50,519	570,187
დარიცხული ცვეთა და გაუფასურება							
1 იანვარი, 2018 წ. (გადაანგარიშებული)	166	8,188	158,308	6,844	2,877	2,797	179,180
ცვეთის დანარიცხი	–	297	17,605	2,085	565	–	20,552
გასვლები	–	(2)	(49)	–	(1)	–	(52)
შიდა გადაცემა	7	68	1,567	15	20	(1,677)	–
31 დეკემბერი, 2018 წ. (გადაანგარიშებული)	173	8,551	177,431	8,944	3,461	1,120	199,680
წმინდა საბალანსო ღირებულება							
1 იანვარი, 2018 წ. (გადაანგარიშებული)	1,245	9,901	210,382	16,681	2,083	31,677	271,969
31 დეკემბერი, 2018 წ. (გადაანგარიშებული)	1,690	13,151	288,142	15,434	2,691	49,399	370,507

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ ჰქონდა თავისი სესხებისთვის გირაოთი დატვირთული ძირითადი საშუალებები. დაგირავებული მიწის ნაკვეთებისა და უძრავი ქონების საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის იყო 5,665 ლარი (მე-12 შენიშვნა).

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

8. საინვესტიციო ქონება

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საინვესტიციო ქონების შემადგენლობას და მოძრაობას 2019 და 2018 წლებში:

	მიწა	შენობა-ნაგებობები	სულ
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9,665	473	10,138
გასვლები	(1,691)	–	(1,691)
წმინდა შემოსულობა სამართლიანი ღირებულების გადაფასებიდან	189	8	197
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8,163	481	8,644
შემოსვლები	–	82	82
გასვლები	(3,842)	–	(3,842)
წმინდა შემოსულობა სამართლიანი ღირებულების გადაფასებიდან	917	–	917
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,238	563	5,801

ნასესხები სახსრების უზრუნველსაყოფად კომპანიის მიერ დაგირავებული საინვესტიციო ქონება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის წულს შეადგენდა (2018 წ.: 2,211 ლარი).

სამართლიანი ღირებულების შეფასება

საინვესტიციო ქონება სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება. დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ ჩატარებული ბოლო შეფასების თარიღია 2019 წლის 30 სექტემბერი. შეფასებისთვის გამოყენებული იქნა შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ რეკომენდებული მეთოდები, რომლებიც შეესაბამება ფასს 13-ის “სამართლიანი ღირებულების შეფასება” პრინციპებს და გამოიყენება რეგულარულად.

საინვესტიციო ქონების უმეტესობა საბაზრო მეთოდით ფასდება. გარკვეული ობიექტები დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ შეფასდა შემოსავლის მეთოდით.

საბაზრო მეთოდი

ეს მეთოდი გულისხმობს შეფასების ობიექტის პირდაპირ შედარებას სხვა ობიექტთან, რომელიც გაიყიდა ან აღრიცხულია გაყიდვის რეესტრში. ღირებულების კორექტირება, ძირითადად, შემდეგის გათვალისწინებით ხდება: 1) ფიზიკური მდგომარეობა; 2) ადგილმდებარეობა; 3) საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენება, და 4) ყადაღა ქონებაზე.

საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გამოყენებული მეთოდი და ამოსავალი მონაცემები სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს მიეკუთვნება. მგრძნობელობა ამოსავალ მონაცემებში გონივრულად დასაშვები ცვლილებების მიმართ 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის ასე გამოიყურება:

საინვესტიციო ქონების კლასი	სამართლიანი ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	შეფასების მეთოდი	გამოყენებული მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი ამოსავალი მონაცემები	მონაცემის სიდიდე / დიაპაზონი / საშუალო შეწონილი / იჯარა 1 კვ.მ.-ზე
მიწის ნაკვეთები	5,238	შემოსავლის მეთოდი საბაზრო მეთოდი	კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება, კვ.მ.-ის ფასი, კვ.მ.-ის იჯარა	11.5%, 0.015-0.342 (0.04); 0.269;
შენობა-ნაგებობები	563	საბაზრო მეთოდი	კვ.მ.-ის ფასი	0.118-2.269 (0.275)
საინვესტიციო ქონება, სულ	5,801			

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

8. საინვესტიციო ქონება (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

საინვესტიციო ქონების კლასი	სამართლიანი ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	შეფასების მეთოდი	გამოყენებული მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი ამოსავალი მონაცემები	მონაცემის სიდიდე / დიაპაზონი (საშუალო შეწონილი)
მიწის ნაკვეთები	8,163	შემოსავლის მეთოდი საბაზრო მეთოდი	კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება, კვ.მ.-ის ფასი	12.2% 0.014-1.56 (0.72)
შენობა-ნაგებობები	481	საბაზრო მეთოდი	კვ.მ.-ის ფასი	0.16-1.63 (0.45)
საინვესტიციო ქონება, სულ	8,644			

1 კვ.მ.-ის ფასის გაზრდა ან შემცირება გამოიწვევს საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების გაზრდას ან შემცირებას, შესაბამისად.

დისკონტირების განაკვეთის გაზრდა ან შემცირება გამოიწვევდა საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების, შესაბამისად, შემცირებას ან გაზრდას.

9. სხვა გრძელვადიანი აქტივები

	31 დეკემბერი, 2019 წ.	31 დეკემბერი, 2018 წ. (გადაანგარიშებული)
არამატერიალური აქტივები	1,529	934
გრძელვადიან აქტივებში გადახდილი ავანსები	367	791
სხვა გრძელვადიანი აქტივები	199	–
სხვა გრძელვადიანი აქტივები, სულ	2,095	1,725

არამატერიალური აქტივების პირვანდელი ღირებულება და დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, შეადგენდა 5,828 ლარს და 4,299 ლარს (2018 წ.: 4,539 ლარი და 3,605 ლარი).

წლის განმავლობაში არამატერიალურ აქტივებზე, მათ შორის პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიებზე, დარიცხული ამორტიზაცია შეადგენდა 694 ლარს (2018 წ.: 751 ლარი).

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

10. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	<i>31 დეკემბერი, 2019 წ.</i>	<i>31 დეკემბერი, 2018 წ.</i>
გრძელვადიანი		
მოსახლეობის დებიტორული დავალიანება წყალმომარაგების მომსახურებისთვის	242	335
	242	335
გამოკლებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(45)	(151)
სულ რესტრუქტურირებული დებიტორული დავალიანება, წმინდა	197	184
მიმდინარე		
მოსახლეობის დებიტორული დავალიანება წყალმომარაგების მომსახურებისთვის	16,312	12,299
იურიდიული პირების დებიტორული დავალიანება წყალმომარაგების მომსახურებისთვის	15,414	15,426
დებიტორული დავალიანება წყლის მრიცხველების დამონტაჟებისთვის	32	41
დებიტორული დავალიანება ქსელთან მიერთების მომსახურებისთვის	2,764	3,016
დებიტორული დავალიანება ელექტროენერგიის რეალიზაციისთვის	3,360	486
	37,882	31,268
გამოკლებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(19,281)	(15,177)
სულ მიმდინარე სავაჭრო დებიტორული დავალიანება, წმინდა	18,601	16,091
სხვა დებიტორული დავალიანება	4,741	2,988
გამოკლებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(1,009)	(107)
სულ სხვა დებიტორული დავალიანება, წმინდა	3,732	2,881
სულ მიმდინარე სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება, წმინდა	22,333	18,972

სხვა დებიტორულ დავალიანებაში შედის ქსელთან უკანონოდ მიერთების გამო დაკისრებული ჯარიმების მისაღები თანხები და სხვა სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება.

კომპანიის სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებებს და გამოხატულია ლარში.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ აღიარა ისეთ შემოსავალთან დაკავშირებული 4,741 ლარის სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება, რომელიც არ ექვევცა ფასს 15-ის “შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან” მოქმედების არეალში (2018 წ.: 2,988 ლარი) და ძირითადად შედგება უკანონო მიერთების გამო დაწესებული ჯარიმებისგან.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

10. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (გაგრძელება)

კომპანიას არ აქვს შიდა საკრედიტო სარეიტინგო სისტემა თავისი სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების საკრედიტო ხარისხის შესაფასებლად და საკრედიტო რისკს აფასებს ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობის მიხედვით.

ქვემოთ აქტივების თითოეული კლასისთვის წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების ანალიზი ხანდაზმულობის ვადების მიხედვით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

31 დეკემბერი, 2019 წ.	სახელშეკრულებო აქტივები	მიმდინარე	30 დღეზე ნაკლები	30 დღიდან 60 დღემდე	61 დღიდან 90 დღემდე	91 დღეზე მეტ	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო							
ზარალის დონე	0.00%	0.00%	6.28%	26.44%	40.27%	93.91%	47.44%
საბალანსო ღირებულება							
დეფოლტის დროს	2,838	8,315	9,966	703	443	20,600	42,865
მოსალოდნელი საკრედიტო							
ზარალი	–	–	626	186	178	19,345	20,335

ქვემოთ აქტივების თითოეული კლასისთვის წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების ანალიზი ხანდაზმულობის ვადების მიხედვით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

31 დეკემბერი, 2018 წ.	სახელშეკრულებო აქტივები	მიმდინარე	30 დღეზე ნაკლები	30 დღიდან 60 დღემდე	61 დღიდან 90 დღემდე	91 დღეზე მეტ	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო							
ზარალის დონე	0.00%	0.00%	1.34%	19.95%	31.64%	91.24%	44.62%
საბალანსო ღირებულება							
დეფოლტის დროს	2,938	5,245	8,590	685	754	16,379	34,591
მოსალოდნელი საკრედიტო							
ზარალი	–	–	115	137	239	14,944	15,435

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვში ცვლილება შემდეგია:

	გრძელვადიანი სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	მოკლევადიანი სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	სულ
31 დეკემბერი, 2017 წ.	202	27,265	27,467
ფასს 9-ზე გადასვლის ეფექტი	–	6,065	6,065
დანარიცხი	–	4,064	4,064
ჩამოწერილი უიმედო ვალები	(51)	(22,110)	(22,161)
31 დეკემბერი, 2018 წ.	151	15,284	15,435
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი/(შემოზრუნება)	(106)	6,064	5,958
ჩამოწერილი უიმედო ვალები	–	(1,058)	(1,058)
31 დეკემბერი, 2019 წ.	45	20,290	20,335

2019 და 2018 წლებში კომპანიამ ჩამოწერა სამ წელზე მეტი ხანდაზმულობის დებიტორული დავალიანება.

2018 წელს უიმედო ვალის ჩამოწერა განპირობებული იყო სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების შესახებ სემკის დადგენილების შეცვლით, რომლის მიხედვითაც მომხმარებლები გათავისუფლდნენ სამ წელზე მეტი ხნის წინ წარმოშობილი თანხების გადახდის ვალდებულებისგან. ჩამოწერილი დებიტორული დავალიანება მანამდე სრულად იყო დარეზერვებული.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

11. საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას მთლიანად ჰქონდა შეტანილი 69,654 ლარის საწესდებო კაპიტალი (2018 წ.: 91,719 ლარი).

2019 წელს კომპანიის მშობელმა კომპანიამ გადაწყვიტა საწესდებო კაპიტალის შემცირება 22,065 ლარით (2018 წ.: 18,840 ლარი).

დივიდენდები

2019 და 2018 წლებში დივიდენდები არ გამოცხადდა და არ გადაეხადა მშობელ კომპანიას.

დამატებით შეტანილი კაპიტალი

დამატებით შეტანილი კაპიტალი ასახავს თანამშრომლებზე, მათ შორის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე, კომპენსაციის ფარგლებში აქციებზე დაფუძნებულ გადახდებს წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით (25-ე შენიშვნა).

სხვა რეზერვები

სხვა რეზერვები ასახავს ფულადი სახსრების გადაცემას შუალედური მშობელი კომპანიისთვის კომპანიის თანამშრომლებზე გაცემული აქციების სანაცვლოდ (25-ე შენიშვნა).

გადაფასების რეზერვი

გადაფასების რეზერვი ასახავს იმ ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის ოდენობას, რომელიც გადაფასდა საინვესტიციო ქონებაში გადატანის მომენტში.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანიის მიზნებია:

- ▶ უზრუნველყოს კომპანიის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარი, რომ მან გააგრძელოს მფლობელებისთვის უკუგების, ხოლო სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის სარგებლის შექმნა;
- ▶ შეინარჩუნოს საკმარისი ზომა, რომ კომპანიის საქმიანობა ხარჯთეფექტიანი იყოს.

ამ მიზნების მისაღწევად კომპანია დეტალურად აანალიზებს კაპიტალის სტრუქტურას, ნასესხები სახსრების ღირებულებისა და საკუთარი კაპიტალის არსებული დონის გათვალისწინებით. კომპანია კაპიტალს, კაპიტალის მართვის მიზნებისთვის, განსაზღვრავს, როგორც ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ საკუთარ კაპიტალს. კომპანიას არ ეხება კაპიტალთან დაკავშირებული გარე მოთხოვნები.

2019 და 2018 წლებში კაპიტალის მართვის მიზნებში, პოლიტიკასა და პროცედურებში ცვლილებები არ შესულა.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

12. ნასესხები სახსრები

	31 დეკემბერი, 2019 წ.		31 დეკემბერი, 2018 წ.	
	მოკლევადიანი ვალდებუ- ლებები	გრძელვადიანი ვალდებუ- ლებები	მოკლევადიანი ვალდებუ- ლებები	გრძელვადიანი ვალდებუ- ლებები
საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებისგან მიღებული სესხები	20,567	189,516	17,755	220,661
ქართული ფინანსური დაწესებულებებისგან მიღებული სესხები	3,724	91,613	587	9,802
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	256	30,355	224	29,756
ნასესხები სახსრები, სულ	24,547	311,484	18,566	260,219

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან ნასესხები სახსრები მოიცავს ლარში გამოხატულ სესხებს Nederlandse Financierings-Maatschappij Voor Ontwikkelingslanden N.V.-ისგან (“ჰოლანდიის განვითარების ბანკი”) 86,841 ლარის ოდენობით (2018 წ.: 96,329 ლარი); ევროში გამოხატულ სესხებს Deutsche Investitions – Und Entwicklungsgesellschaft MBH-ისგან (“გერმანიის საინვესტიციო და განვითარების საზოგადოება”) 123,242 ლარის ოდენობით (2018 წ.: 76,856 ლარი).

ევროში გამოხატული სესხი ევროპის საინვესტიციო ბანკისგან 65,232 ლარის ოდენობით 2019 წლის განმავლობაში რეფინანსირდა.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქართული ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრები მოიცავს ლარში გამოხატულ სესხებს 95,337 ლარის ოდენობით (2018 წ.: 10,389 ლარი).

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას გამოშვებული აქვს ლარში გამოხატული სავალო ფასიანი ქაღალდები 30,611 ლარის ოდენობით (2018 წ.: 29,980 ლარი). სავალო ფასიანი ქაღალდები გამოშვებულია 2016 წლის 6 დეკემბერს და დაფარვის ვადა ეწურება 2021 წელს.

სესხის დაფარვის საშუალო ვადა 12 წელია (2018 წ.: 10 წელი).

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს 44,933 ლარის აუთვისებული საკრედიტო ხაზი (2018 წელს: აუთვისებული საკრედიტო ხაზი არ ჰქონია).

კომპანია ვალდებულია, დააკმაყოფილოს თავის ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული გარკვეული პირობები, როგორცაა სხვადასხვა ლიმიტის დაცვა ნასესხები სახსრების EBITDA-სთან თანაფარდობის კოეფიციენტისთვის, კაპიტალური ინვესტიციებისათვის და სხვა. ამ პირობების დაუკმაყოფილებლობას შეიძლება დეფოლტის შემთხვევები მოჰყვეს კომპანიისთვის, მათ შორის, სასესხო ხელშეკრულების შეწყვეტა და სესხის თანხის ან მისი ნაწილის დაკავება. 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისთვის კომპანია აკმაყოფილებდა აღნიშნულ პირობებს.

2019 წლის 31 დეკემბრისთვის გარკვეული ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება დაგირავებული იყო სესხების უზრუნველსაყოფად (მე-7, მე-8 შენიშვნები) 2019 წლის 31 დეკემბრისთვის აქტივები არ იყო გირაოთი დატვირთული.

არსებითი არაფულადი ოპერაციები

2019 წელს კომპანიამ გასწია ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები 24,954 ლარის ოდენობით (2018 წ.: 19,542 ლარი). აქედან 2,450 ლარი კაპიტალიზდა ძირითად საშუალებებზე (2018 წ.: 3,571 ლარი).

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

12. ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

	ნასესხები სახსრები	გამოშვებული სავალი ფასიანი ქაღალდები	საიჯარო ვალდებუ- ლებები	სულ
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	213,414	29,946	–	243,360
უცხოური ვალუტის კონვერტაცია	692	–	–	692
ფულადი შემოსავალი	34,497	–	–	34,497
გადახდილი ფულადი სახსრები	(19)	–	–	(19)
დარიცხული პროცენტი	16,345	3,188	–	19,533
გადახდილი პროცენტი (კლასიფიცირებული, როგორც საქმიანობის შედეგად ფულადი სახსრების გადინება)	(15,801)	(3,188)	–	(18,989)
სხვა	(323)	34	–	(289)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	248,805	29,980	–	278,785
უცხოური ვალუტის კონვერტაცია	5,644	–	–	5,644
ფულადი შემოსავალი	136,536	–	–	136,536
გადახდილი ფულადი სახსრები	(86,926)	–	(170)	(87,096)
დარიცხული პროცენტი	21,925	3,125	63	25,113
გადახდილი პროცენტი (კლასიფიცირებული, როგორც საქმიანობის შედეგად ფულადი სახსრების გადინება)	(20,181)	(3,093)	(63)	(23,337)
სხვა	(383)	599	825 ¹	1,041
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	305,420	30,611	655	336,686

¹ მოიცავს ფასს 16-ის გამოყენების ეფექტს და საიჯარო ვალდებულებების დამატებას.

13. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი, 2019 წ.	31 დეკემბერი, 2018 წ.
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	9,587	9,645
გრძელვადიან აქტივებში გადასახდელი თანხები	3,625	3,063
თანამშრომლებზე გასაცემი ხელფასები	3,527	3,507
სხვა კრედიტორული დავალიანება	164	160
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	16,903	16,375

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება პროცენტიანი არ არის და, ჩვეულებრივ, 60 დღიან ვადაში იფარება.

14. სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები

2019 წელს კომპანიამ 143,135 ლარის შემოსავალი აღიარა მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (2018 წ.: 128,787 ლარი). მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის დაყოფა ტიპების მიხედვით წარმოდგენილია 2019 წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მე-15 და მე-16 შენიშვნებში.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

14. სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)**სახელშეკრულებო ნაშთები**

კომპანიამ აღიარა შემოსავალთან დაკავშირებული შემდეგი სახელშეკრულებო ნაშთები:

	<i>31 დეკემბერი, 2019 წ.</i>	<i>31 დეკემბერი, 2018 წ.</i>
მოთხოვნები		
სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში წარმოდგენილი მოთხოვნები	18,798	15,931
სულ	18,798	15,931
სახელშეკრულებო ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	5,880	7,557
გადავადებული შემოსავალი	27,878	21,366
სულ	33,758	28,923

კომპანიამ 2019 წელს აღიარა 3,577 ლარის შემოსავალი, რომელიც უკავშირდება მომდევნო პერიოდებზე გადატანილ სახელშეკრულებო ვალდებულებებს (2018 წ.: 3,137 ლარი).

დებიტორული დავალიანების ზრდა განპირობებულია ელექტროენერგიის რეალიზაციასთან დაკავშირებული ქვითრების გადავადებით.

მიღებულ ავანსებში ცვლილებებს, ძირითადად, განაპირობებდა 2019 წელს მომსახურების გაწევის დასრულება.

2019 წელს ცვლილებ გადავადებულ შემოსავალში, ძირითადად, მიეწერებოდა ახალ მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს 10,708 ლარის ოდენობით (2018 წ.: 5,919 ლარი), რომელიც გაიქცეოდა მოგებაში ან ზარალში აღიარებული შემოსავლის თანხებით.

დარჩენილ სახელშეკრულებო ვალდებულებებზე განაწილებული გარიგების ფასი

ქვემოთ, ცხრილში, წარმოდგენილია შემოსავალი, რომლის აღიარებაც მოსალოდნელია მომავალში იმ სახელშეკრულებო ვალდებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც საანგარიშგებო თარიღისთვის არ არის დაკმაყოფილებული და, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადავადებულია:

	<i>2020 წლის 31 დეკემბრით</i>	<i>2021 წლის 31 დეკემბრით</i>	<i>2022 წლის 31 დეკემბრით</i>	<i>3-5 წლის შემდეგ</i>	<i>5-10 წლის შემდეგ</i>	<i>სულ</i>
	<i>დასრულებულ წელს</i>	<i>დასრულებულ წელს</i>	<i>დასრულებულ წელს</i>			
შემოსავალი, რომლის აღიარებაც მოსალოდნელია მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებზე	4,387	4,253	3,876	6,107	9,255	27,878

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

14. სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)**დარჩენილ სახელშეკრულებო ვალდებულებებზე განაწილებული გარიგების ფასი (გაგრძელება)**

ქვემოთ, ცხრილში, წარმოდგენილია შემოსავალი, რომლის აღიარებაც მოსალოდნელია მომავალში იმ სახელშეკრულებო ვალდებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც საანგარიშგებო თარიღისთვის არ არის დაკმაყოფილებული და, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადავადებულია:

	2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს	2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს	2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს	3-5 წლის შემდეგ	5-10 წლის შემდეგ	სულ
შემოსავალი, რომლის აღიარებაც მოსალოდნელია მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებზე	3,577	3,316	3,182	4,934	6,357	21,366

კომპანია იყენებს ფასს 15-ით გათვალისწინებულ გამარტივებულ მიდგომას და არ წარმოადგენს ინფორმაციას დარჩენილი სახელშეკრულებო ვალდებულებების შესახებ, რომელთა თავდაპირველი მოსალოდნელი ვადაც მაქსიმუმ ერთი წელია.

15. შემოსავალი წყალმომარაგებიდან და მასთან დაკავშირებული მომსახურებიდან

	2019	2018 წ. (რეკლასიფი- ცირებული)
იურიდიული პირების წყალმომარაგებიდან მიღებული შემოსავალი	83,046	82,186
ფართო მოსახლეობის წყალმომარაგებიდან მიღებული შემოსავალი	36,857	36,493
სულ შემოსავალი წყალმომარაგებიდან, მასთან დაკავშირებული მომსახურებების საფასურის დარიცხვამდე	119,903	118,679
ქსელთან მიერთების მომსახურების საფასური	3,376	2,614
წყლის მრიცხველების დამონტაჟების საფასური	805	825
სულ შემოსავალი წყალმომარაგებიდან და მასთან დაკავშირებული მომსახურებიდან	124,084	122,118

16. შემოსავალი ელექტროენერგიის რეალიზაციიდან

	2019	2018
შემოსავალი ელექტროენერგიის რეალიზაციიდან იურიდიულ პირებზე	18,191	5,823
შემოსავალი ელექტროენერგიის რეალიზაციიდან სახელმწიფოსთან დაკავშირებულ საწარმოებზე	860	238
სულ შემოსავალი ელექტროენერგიის რეალიზაციიდან	19,051	6,061

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

17. სხვა შემოსავალი

	2019	2018 წ. (რეკლასიფი- ცირებული)
შემოსავალი იჯარიდან	662	628
შემოსავალი ჰიდროელექტროსადგურისთვის წყლის მიყიდვიდან	179	350
სხვა შემოსავალი	918	258
სხვა შემოსავალი, სულ	1,759	1,236

18. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

	2019	2018
ხელფასები	14,737	14,235
პრემიები	2,268	2,069
თანამშრომელთა კომპენსაცია წილობრივი ინსტრუმენტებით	1,325	914
სულ ხელფასები და სარგებელი	18,330	17,218

19. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	2018
დაცვა-უსაფრთხოების ხარჯები	1,155	900
საოფისე ხარჯები	772	730
კომუნალური ხარჯები	702	706
კომუნიკაციის ხარჯები	382	408
სარეკლამო ხარჯები	143	432
სამივლინებო ხარჯები	54	148
წარმომადგენლობითი ხარჯები	52	140
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები, სულ	3,260	3,464

20. პროფესიული გასამრჯელო

	2019	2018
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები	1,418	1,801
იურიდიული და სხვა პროფესიული მომსახურების გასამრჯელო	646	590
სულ პროფესიული გასამრჯელო	2,064	2,391

აუდიტორის საზღაური

2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის, კომპანიის აუდიტორის ანაზღაურება იყო (დღგ-ის გარეშე):

	2019	2018
კომპანიის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გასამრჯელო	132	134
სხვა მარწმუნებელი მომსახურების დანახარჯები	13	34
სულ აუდიტორის გასამრჯელო	145	168

სხვა აუდიტორებისა და აუდიტორული კომპანიებისთვის მათ მიერ გაწეულ პროფესიულ მომსახურებაში გადასახდელი გასამრჯელო და ასანაზღაურებელი დანახარჯები შეადგენდა 307 ლარს (2018 წ.: 377 ლარი), დღგ-ის გარეშე.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

21. სხვა შემოსავალი

	2019	2018 (გადაანგა- რიშებული)
შემოსავალი ქსელთან უკანონოდ მიერთების მომსახურებაზე დაკისრებული ჯარიმებიდან	1,034	1,873
საინვესტიციო ქონების გადაფასების შედეგად მიღებული წმინდა შემოსულობა	917	196
მიღებული მოუთხოვნიელი ავანსების აღიარების შეწყვეტა	845	360
წმინდა შემოსავალი ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ჩამოწერიდან	–	127
სხვა შემოსავალი	836	963
სხვა შემოსავლები, სულ	3,632	3,519

22. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2019	2018 (გადაანგა- რიშებული)
ჩამდინარე წყლების დამუშავების ხარჯი	10,382	10,363
ელექტროენერგიის წარმოების ობიექტების ექსპლუატაციის ხარჯები	1,945	1,416
ქვითრების გამოწერის ხარჯი	1,653	1,655
სადაზღვევო ხარჯი	1,263	1,039
ზიანის ანაზღაურება	654	309
მარეგულირებელი ორგანოს მოსაკრებელი	282	254
ძირითადი საშუალებების ჩამოწერასთან დაკავშირებული წმინდა ზარალი	232	–
ქველმოქმედებაზე გაწეული ხარჯები	225	240
ჯარიმები და საურავები	127	319
საიჯარო ხარჯი	118	559
კვლევისა და სერტიფიცირების ხარჯები	99	28
წმინდა ზარალი ქსელისა და სასაქონლო-მატერიალური მარაგების რეალიზაციიდან	18	39
სხვა ხარჯები	629	69
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	17,627	16,290

23. ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები

	2019	2018 (გადაანგა- რიშებული)
საპროცენტო ხარჯები ნასესხებ სახსრებზე	22,504	15,971
საბანკო მომსახურების ღირებულება და საკომისიო	96	322
საპროცენტო ხარჯები საიჯარო ვალდებულებებზე	63	–
სულ ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯები	22,663	16,293

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

24. წარმოებული ფინანსური ვალდებულებები

კომპანიას აქვს თავის ყოველდღიურ ბიზნესოპერაციებთან დაკავშირებული სავალუტო რისკები და ამ რისკის სამართავად იყენებს სავალუტო ფორვარდულ გარიგებებს. წარმოებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები შესულია სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 დონეში.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებებს, რომლებიც აღრიცხულია აქტივებად და ვალდებულებებად მათ პირობით თანხებთან ერთად. ჯამურად აღრიცხული პირობითი თანხა წარმოადგენს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის შესაბამისი აქტივისა თუ ვალდებულების თანხას და საფუძველს, რომელზე დაყრდნობითაც ფასდება წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილება. პირობითი თანხები ასახავს ოპერაციათა მოცულობას წლის ბოლოსთვის და არ მოიცავს საკრედიტო რისკს.

	2019		2018	
	პირობითი თანხა	ვალდებულება	პირობითი თანხა	ვალდებულება
ფორვარდები - ადგილობრივ ვალუტაში	22,467	1,919	28,579	1,777
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	22,467	1,919	28,579	1,777

25. აქციებზე დაფუძნებული გადახდები

ბიზნესის გაყოფამდე (1-ლი შენიშვნა) კომპანიის აღმასრულებელი დირექტორისთვის კომპენსაციის გადახდა ბიჯეოს აქციებით ხდებოდა. ბიზნესის გაყოფის შემდეგ ბიჯეოსთან გაფორმებული წინა მომსახურების ხელშეკრულება შეწყდა და ახალი ხელშეკრულება გაფორმდა ჯორჯია კაპიტალთან. ბიჯეოს აქციებით კომპენსაციის გაცემის სისტემა დაჩქარდა და მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახა მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღის მდგომარეობით, როგორც არარეგულარული ხარჯი (26-ე შენიშვნა).

2018 წელს საჯარო სააქციო საზოგადოება „ჯორჯია კაპიტალმა“ თავისი აღმასრულებელი პირებისთვის წილობრივი ანაზღაურების გეგმა შემოიღო. წილობრივი ანაზღაურების გეგმის თანახმად, ჯორჯია კაპიტალის აქციები გაიცემა კომპანიის ზედა რგოლის აღმასრულებელ პირებზე. 2018 წლის ივლისში კომპანიის აღმასრულებელმა პირებმა ხელი მოაწერეს ახალ ექსცელსიან ხელშეკრულებას ფიქსირებული პირობითი წილობრივი ანაზღაურების თაობაზე ჯამში ჯორჯია კაპიტალის 525,000 ჩვეულებრივი აქციით. თითოეული აღმასრულებელი პირისთვის განკუთვნილი აქციების მთლიანი რაოდენობა გაიცემა ხუთ თანაბარ ნაწილად ექვსი თანმიმდევრული წლის განმავლობაში 2019 წლის იანვრიდან. აქედან თითოეული განაცემი დაექვემდებარება უფლების გადაცემის ექსცელსიან პერიოდს, ამ პერიოდში კომპანიაში დასაქმების პირობით. აქციების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღისთვის საბაზრო ფასებზე დაყრდნობით. კომპანია წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღად მიიჩნევს 2018 წლის 12 ივლისს და მისი შეფასებით, ამ აქციებიდან თითოეულის სამართლიანი ღირებულება აღნიშნული თარიღისთვის 33.4 ლარი იყო.

აღმასრულებელი პირების წილობრივი ანაზღაურების პროგრამის გარდა, კომპანია ჯორჯია კაპიტალის აქციებს თავის თანამშრომლებსაც გადასცემს.

ცხრილში წარმოდგენილია წლის განმავლობაში გაცემული ჯორჯია კაპიტალის აქციების რაოდენობა, საშუალო შეწონილი ფასები და მოძრაობა:

	2019	2018
მიმოქცევაში მყოფი აქციები 1 იანვარს	525,000	–
წლის განმავლობაში გადაცემული	6,400	525,000
წლის განმავლობაში ჩამორთმეული	(239,000)	–
წლის განმავლობაში გადაცემული უფლებები	(113,400)	–
მიმოქცევაში მყოფი აქციები 31 დეკემბერს	179,000	525,000

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

25. აქციებზე დაფუძნებული გადახდები (გაგრძელება)

გადაცემული აქციების დარჩენილი საშუალო შეწონილი სახელშეკრულებო ვადა 2019 წლის 31 დეკემბრისთვის 4.4 წელი იყო (5.4 წელი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის). წლის განმავლობაში გადაცემული აქციების საშუალო შეწონილი სამართლიანი ღირებულება 38 ლარი იყო (33.4 ლარი - 2018 წელს გადაცემული აქციების ღირებულება). 2019 წლის განმავლობაში ჩამორთმეული და გადაცემული აქციების საშუალო შეწონილი სამართლიანი ღირებულება იყო 37.7 ლარი.

ჯორჯია კაპიტალის აქციების გარდა, აღმასრულებელ პირებს გადაეცემათ მშობელი კომპანიის B ტიპის აქციები, რომელთაგან თითოეული გადაცემა ექვემდებარება უფლების გადაცემის ხუთწლიან პერიოდს, ამ ხნის განმავლობაში კომპანიაში ან მშობელი კომპანიის მიერ კონტროლირებულ სხვა საწარმოებში უწყვეტი დასაქმების პირობით.

ცხრილში წარმოდგენილია წლის განმავლობაში თანამშრომლებისგან მიღებული მომსახურებისთვის აღიარებული ხარჯი და შესაბამისი ზრდა კაპიტალში, რომელიც განპირობებულია აქციებზე დაფუძნებული გადახდებით, წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით;

	2019	2018
აქციებზე დაფუძნებული გადახდებით, წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით, განპირობებული ზრდა კაპიტალში	5,881	7,874
წილობრივი ინსტრუმენტებით გარიგებების შედეგად წარმოშობილი ხარჯები	4,187	6,077

2019 წელს ჯორჯია კაპიტალში წილობრივი გადახდის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული შენატანები გაუტოლდა 4,492 ლარს (2018 წ.: 2,307 ლარი).

2019 და 2018 წლებში გადაცემული წილობრივი უფლებები არ გაუქმებულა და არ შეცვლილა, თუ არ ჩავთვლით ბიჯეოს აქციების ზემოაღნიშნულ გადაცემას და აღმასრულებელი თავმჯდომარის გადადგომის შედეგად მისთვის სარგებლის შეწყვეტას (26-ე შენიშვნა).

კომპანიას არ აქვს წილობრივი უფლებების მინიჭების ანგარიშსწორების ვალდებულება, თუმცა მოსალოდნელია, რომ კომპანია გადასცემს ნაღდ ფულს ჯორჯია კაპიტალს, რათა აუნაზღაუროს მას კომპანიის მიერ წილობრივი უფლებების მინიჭებისას განხორციელებული ანგარიშსწორებები.

26. არარეგულარული ხარჯები

	2019	2018
შრომითი საქმიანობის შეწყვეტის გასამრჯელო	2,862	–
ბიზნესის გაყოფასთან დაკავშირებით წილობრივი ინსტრუმენტებით ანაზღაურების აქსელერაციის ხარჯი	–	5,163
არასაოპერაციო საგადასახადო ხარჯები	–	871
წმინდა შემოსავალი აქტივების გადაცემიდან წილის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლიდან (27-ე შენიშვნა)	(37)	–
სულ არარეგულარული ხარჯები	2,825	6,034

2019 წლის იანვარში კომპანიის აღმასრულებელი თავმჯდომარე თანამდებობიდან გადადგა და შეინარჩუნა მანამდე მიღებული აქციების ფლობის უფლება, რაც გაგრძელდება თავდაპირველი სქემის მიხედვით. აქციებზე დაფუძნებულ გადახდასთან დაკავშირებული ხარჯი, რომელიც ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღისთვის არ აღიარებულა მოგებაში ან ზარალში (რომელიც, სხვა შემთხვევაში, უფლების გადაცემის დარჩენილი პერიოდის განმავლობაში მიღებული მომსახურებისთვის იქნებოდა აღიარებული), დაჩქარებული წესით გატარდა ხარჯებში.

2019 წელს, ბიზნესის გაყოფის შემდეგ (1-ლი შენიშვნა), მომსახურების წინა ხელშეკრულების მიხედვით გასაცემი ყველა აქცია, რომლებზეც უფლებები არ გადაეცემა, გარდაიქმნა ჯორჯია კაპიტალის აქციებზე უფლებების ერთ გადაცემად, თავდაპირველი გეგმის მიხედვით, და საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკის ჯგუფის“ აქციებზე უფლებების ერთ გადაცემად, დაუყოვნებლივ, ბიჯეოს თითოეულ აქციაზე. აქციებზე დაფუძნებულ გადახდასთან დაკავშირებული ხარჯის აღრიცხვა, რომელიც ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღისთვის არ აღიარებულა მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (რომელიც, სხვა შემთხვევაში, უფლების გადაცემის დარჩენილი პერიოდის განმავლობაში მიღებული მომსახურებისთვის აღიარდებოდა) დაჩქარებული წესით გატარდა ხარჯებში.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

26. არარეგულარული ხარჯები (გაგრძელება)

2018 წელს არასაოპერაციო საგადასახადო ხარჯები ძირითადად შედგება ზენორმატიული დანაკარგების ცვლილების შედეგად მიღებული მოგების გადასახადისგან. კომპანიას, თავისი საოპერაციო საქმიანობის წარმართვისას, ექმნება წყლის მნიშვნელოვანი დანაკარგები, რომლებიც კლასიფიცირებულია „ზენორმატიულად“ და ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას (მე-4 შენიშვნა). სემეკის 2018 წელს გამოშვებული რეგულაციის მიხედვით, ნორმატიული დანაკარგების ოდენობა გამოთვლილია კომპანიის წყლის ფაქტობრივი დანაკარგების გათვალისწინებით. ზენორმატიულ დანაკარგებთან დაკავშირებით რამე დამატებითი საგადასახადო ხარჯი არ არის მოსალოდნელი.

27. პირობითი ვალდებულებები

ვალდებულებები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 548 ლარის (2018 წ.: 2,670 ლარი) აკრედიტივებია გაცემული კომპანიის დაუმთავრებელ მშენებლობასთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანებისთვის, რომელიც ნაწილობრივ წარმოდგენილია შეზღუდული წვდომის დეპოზიტების ნაშთზე (28-ე შენიშვნა).

წილის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლა

2019 წლის 15 აპრილს მშობელ კომპანიას, საქართველოს მთავრობას, სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს და ქალაქ თბილისის მთავრობას შორის გაფორმდა შეთანხმება 2008 წლის პრივატიზაციის ხელშეკრულების (შემდგომში - „წილის ნასყიდობის ხელშეკრულება“) შეწყვეტის თაობაზე, რომლითაც მხარეებმა დაადასტურეს, რომ წილის ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მშობელი კომპანიის ყველა საპრივატიზაციო ვალდებულება (რაც შეუზღუდავად მოიცავს: თბილისის და მცხეთის 24-საათიან წყალმომარაგებას, წყლის ხარისხს თბილისსა და მცხეთაში, თბილისში მდინარე მტკვარში საკანალიზაციო წყლების ჩადინების აღკვეთას, გარდაბნის გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაციას და მოდერნიზაციას და არანაკლებ 220 მილიონი აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხის ინვესტიციას ლარში წილის ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში) შესრულებულია და მშობელი კომპანია გათავისუფლებულია წილის ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა მოვალეობისგან, მისი საკუთრების უფლება პრივატიზებულ შვილობილ კომპანიებში (კომპანია, შპს „მცხეთის წყალი“, შპს „რუსთავის წყალი“ და შპს „გარდაბნის გამწმენდი ნაგებობა“) არსებულ წილებზე და მათი აქტივები ყოველგვარი პირობისგან და დატვირთვისგან თავისუფალია.

წილის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ მშობელი კომპანიის შვილობილმა კომპანიებმა, კომპანიის ჩათვლით, მოახდინეს საკუთრების უფლების რეგისტრაცია იმ ძირითად საშუალებებზე, რომლებსაც მანამდე რეგისტრაციის გარეშე ფლობდნენ. გარდა ამისა, კომპანიამ გარკვეული საინვესტიციო ქონება მთავრობისგან სიმბოლურ ფასად შეისყიდა. ამავე დროს, კომპანიამ ჟინვალჰესთან ახლოს, სოფელ ჟინვალში, მდებარე გარკვეული ძირითადი საშუალებები მთავრობას უსასყიდლოდ დაუთმო. ამ შემხვედრი გარიგებების წმინდა ეფექტი, 37 ლარის ოდენობით, აისახა მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების არარეგულარულ მუხლებში (26-ე შენიშვნა).

გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველოში კანონმდებლობა გარემოს დაცვის დარგში ვითარდება, ხოლო სამთავრობო ორგანოების სამართლებრივი პოზიცია მუდმივი გადასინჯვის საგანია. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად. როგორც კი წარმოიქმნება ვალდებულება, ხდება მისი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებულ წესებში ან კანონმდებლობაში ცვლილებების და ასევე სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამართალგამოყენების არსებული კლიმატის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიას გარემოსათვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებით არა აქვს მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

28. ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების მიმოხილვა

შეზღუდული წვდომის დეპოზიტები

2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის შეზღუდული წვდომის დეპოზიტები მოიცავს ქართულ ბანკში მიმდინარე ანგარიშზე ბლოკირებულ თანხებს. ეს თანხები დაგირავებული იყო ადგილობრივი ბანკების მიერ გაცემული აკრედიტივების უზრუნველსაყოფად (27-ე შენიშვნა).

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში მოიცავს საქართველოს ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ თანხებს. ნაღდი ფულის ყველა ნაშთი ბანკში მიმდინარეა და არ არის გაუფასურებული. 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას არ ჰქონდა ვადაგადაცილებული მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები, გარდა სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებისა (მე-10 შენიშვნა).

გაცემული სესხები

2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის გაცემული გრძელვადიან და მოკლევადიან სესხებში შესულია მშობელი კომპანიის საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებზე გაცემული სესხები (29-ე შენიშვნა). შესაბამისი სესხები წარმოადგენს ლარში გამოხატულ სესხებს 16.94%-18.95%-იანი საპროცენტო განაკვეთით და ევროში გამოხატულ სესხებს 13.88%-იანი საპროცენტო განაკვეთით. 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გრძელვადიანი სესხები მოიცავს სესხებს, რომელთა დაფარვის ვადა იჭურება 2027 წლის 10 ოქტომბერს, 2032 წლის 15 ივნისს ან რომელთა დაფარვის ვადა განსაზღვრული არ არის. გაცემულ სესხებზე, მათი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხები არ არის ვადაგადაცილებული. 2019 წლის და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არ იყო არსებითი.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

ყველა ფინანსური ინსტრუმენტი, რომელთა სამართლიანი ღირებულება კომპანიას გაცხადებული აქვს 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამართლიანი ღირებულებით ფასდება ისეთი მეთოდით, რომელიც იყენებს საბაზრო და არასაბაზრო ამოსავალ მონაცემებს. 2019 და 2018 წლებში მე-3 დონის სამართლიანი ღირებულების განმეორებითი შეფასებისას შეფასების მეთოდი არ შეცვლილა.

სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 და მე-3 დონეში სამართლიანი ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდის გამოყენებით. ცვალებადი კურსის ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე, შეფასდა, როგორც მათი საბალანსო ღირებულების ტოლი. არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება შეფასდა მომავალში მოსალოდნელი საპროგნოზო ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირებულია მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი დაფარვის ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის დადგენილი საპროცენტო განაკვეთებით. ფიქსირებული განაკვეთის მქონე ნასესხები სახსრების (სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 დონე) სამართლიანი ღირებულებები უახლოვდება ამ ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებებს. ხელმძღვანელობის შეფასებით, ბანკებში განთავსებული ნაღდი ფულის ნაშთების, სავაჭრო დებიტორული დავალიანებების, სავაჭრო კრედიტორული დავალიანებების და სხვა მიმდინარე ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებებს ძირითადად ამ ინსტრუმენტების დაფარვის მოკლე ვადის გამო.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

28. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)**ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკი**

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, კომპანიას აქვს საპროცენტო, სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები. ამ რისკების მართვას კომპანიის ხელმძღვანელობა ზედამხედველობს.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ფულადი ნაკადების ღირებულება ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. კომპანიის ხელმძღვანელობა აკონტროლებს თითოეული არსებითი ვალუტის ღია სავალუტო პოზიციებს და, საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ოპერაციებს სავალუტო წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებით.

2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავალუტო რისკს წარმოშობს ევროში გამოხატული ნასესხები სახსრები და წარმოებული ფინანსური ვალდებულებები.

ვალუტა	ზრდა/ კლება, % 2019	გავლენა მოგებაზე 2019
ევრო	11.00%	13,682
ევრო	-6.00%	(7,463)

ვალუტა	ზრდა/ კლება, % 2018	გავლენა მოგებაზე 2018
ევრო	11.00%	15,732
ევრო	-11.00%	(15,732)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, თუ საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები გავლენას მოახდენს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაზე ან ფინანსური ინსტრუმენტების მომავალ ფულადი სახსრების ნაკადზე. კომპანიას აქვს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ნასესხები სახსრები, რომლებიც მიზნულია სეზონის რეფინანსირების განაკვეთებზე, ამიტომ მას აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკი. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია მგრძნობელობა შესაძლო გონივრული ცვლილების მიმართ:

ვალუტა	ზრდა/ კლება, % 2019	გავლენა მოგებაზე 2019
ლარი	-2.00%	(2,485)
ლარი	2.00%	2,485

ვალუტა	ზრდა/ კლება, % 2018	გავლენა მოგებაზე 2018
ლარი	0.75%	300
ლარი	-0.75%	(300)
ევრო	0.02%	13
ევრო	-0.02%	(13)

*(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)***28. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)****ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკი (გაგრძელება)***საკრედიტო რისკი*

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიამ განიცადოს ზარალი, თუ მისი კლიენტები ან მომწოდებლები ვერ შეძლებენ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას. კომპანია საკრედიტო რისკს მართავს და აკონტროლებს რისკის მოცულობაზე მისთვის მისაღები ლიმიტის დაწესებით კონტრაქტებთან ან კონტრაქტების ჯგუფთან მიმართებით. ასეთი რისკების მონიტორინგი ხდება უწყვეტად, ხოლო მათი გადახედვა ხდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად.

2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს საკრედიტო რისკის მქონე სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები, გარდა შემდეგისა:

- ▶ ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში და შეზღუდული წვდომის დეპოზიტები: 2019 წლის 31 დეკემბრისთვის 22,388 ლარის ოდენობის (2018 წ.: 10,240 ლარი) ნაღდი ფულის ნაშთისა და შეზღუდული წვდომის დეპოზიტების მთლიანი თანხიდან 22,295 ლარი (2018 წ.: 2,947 ლარი) ინახებოდა Standard & Poor'-ის "BB-/bb-" რეიტინგის, Moody-ს "B1/NP" (FC) & "Ba3/NP" (LC)-ს და Fitch Ratings-ის "BB-/bb-" რეიტინგების მქონე ბანკებში;
- ▶ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (მე-10 შენიშვნა).
- ▶ საერთო კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციებისთვის გაცემული გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები, რომლებიც არ ექვემდებარება საკრედიტო რეიტინგის შეფასებას.

ყველა ფინანსური აქტივის საკრედიტო ხარისხის მუდმივი მონიტორინგი ხდება საკრედიტო ხარისხში შესაძლო უარყოფითი ცვლილებების დროულად გამოსავლენად. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებას რაც შეეხება, ხელმძღვანელობა საკრედიტო ხარისხს აკონტროლებს ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით. 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისთვის ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულება ყველაზე კარგად ასახავს მათთვის დამახასიათებელ მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ საწარმოს შეექმნება სირთულეები და ვერ შეძლებს წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვას ნორმალურ ან სტრესულ ვითარებაში. ხელმძღვანელობა ყოველთვის აკონტროლებს კომპანიის ფულადი სახსრების მოძრაობის მცოცავ პროგნოზებს. კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური ფინანსირების ბაზა, რომელიც ძირითადად მოიცავს ნასესხებ სახსრებს და სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

28. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)**ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკი (გაგრძელება)**

ცხრილში ნაჩვენებია 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისთვის არსებული ფინანსური ვალდებულებები ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების საფუძველზე.

	<i>1 წელზე ნაკლები</i>	<i>1-3 წელი</i>	<i>3-5 წელი</i>	<i>5 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით					
გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები	53,309	140,456	106,019	187,096	486,880
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	16,903	–	–	–	16,903
საიჯარო ვალდებულება	196	459	–	–	655
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	1,919	–	–	–	1,919
სულ სამომავლო დაფარვები	72,327	140,915	106,019	187,096	506,357
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით					
გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები	37,426	122,584	79,079	137,086	376,175
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	16,375	–	–	–	16,375
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	1,777	–	–	–	1,777
სულ სამომავლო დაფარვები	55,578	122,584	79,079	137,086	394,327

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები მის მიმდინარე აქტივებს 1,496 ლარით აღემატებოდა. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ვალდებულებების დროულად შესრულებისთვის კომპანიას საკმარისი ლიკვიდური სახსრები ექნება საოპერაციო ფულადი ნაკადებიდან, არსებული სესხების რეფინანსირებით და გადავადებით, ახალი სესხების მოზიდვით და აუთვისებელი საკრედიტო ხაზის გამოყენებით. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა 44,933 ლარის (2018 წ.: ნული) აუთვისებელი საკრედიტო ხაზი (მე-12 შენიშვნა).

29. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს ან ერთობლივად გააკონტროლოს მეორე მხარე, ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომლებიც ქვემოთაა განხილული, განხორციელდა გაშლილი ხელის პრინციპით.

საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები შედგება კომპანიის ისეთი „დოზილი“ საწარმოებისგან, რომლებსაც აკონტროლებს მშობელი კომპანია.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

29. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეთა შორის დადებული გარიგებების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი წლის განმავლობაში ასეთი იყო:

	31 დეკემბერი, 2019 წ.		31 დეკემბერი, 2018 წ.	
	<i>საერთო კონტროლს დაქვემდებარებული სხვა დაკავშირებული საწარმოები</i>		<i>საერთო კონტროლს დაქვემდებარებული სხვა დაკავშირებული საწარმოები</i>	
	<i>საწარმოები</i>	<i>მხარეები</i>	<i>საწარმოები</i>	<i>მხარეები</i>
აქტივები				
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	4,748	1,819	1,705	179
გადახდილი ავანსები ¹	–	2,847	–	367
1 იანვრის მდგომარეობით დასაფარი სესხები	46,505	–	50,752	–
წლის განმავლობაში მისაღები პროცენტი	11,536	–	8,033	–
წლის განმავლობაში დაფარული სესხები და პროცენტი	(7,645)	–	(12,280)	–
31 დეკემბრის მდგომარეობით დასაფარი სესხები	50,396	–	46,505	–
ვალდებულებები				
მიღებული ავანსები	–	106	–	43
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	7,070	124	6,315	116
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	–	1,919	–	1,777

¹ სხვა დაკავშირებული მხარეების მიმართ გადახდილი ავანსები წარმოადგენს წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაციისთვის გაცემულ ავანსებს.

	<i>საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები</i>	<i>სხვა დაკავშირებული მხარეები</i>	<i>საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები</i>	<i>სხვა დაკავშირებული მხარეები</i>
	2019	2019	2018	2018¹
შემოსავალი და ხარჯები				
შემოსავალი წყალმომარაგებიდან	153	1,652	178	1722
შემოსავალი ელექტროენერგიის რეალიზაციიდან	14,677	–	–	–
შემოსავალი ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურებიდან	–	47	–	–
სხვა შემოსავალი	550	7	621	465
სხვა შემოსავალი	–	497	14	12
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	7,650	–	7,547	–
შემოსულობა არაპროფილური აქტივების გაყიდვიდან ²	–	2,364	–	–
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	–	–	–	(1,341)
სხვა საოპერაციო ხარჯები ³	(11,080)	(374)	(10,363)	(1,087)

¹ 2018 წლის სხვა დაკავშირებულ მხარეებს მიეკუთვნება ბიზნესის გაყოფამდე ჯორჯია კაპიტალის ჯგუფის კომპანიებისა და საერთაშორისო ბანკის ჯგუფის სამეურნეო სუბიექტების მიერ 2018 წლის განმავლობაში წარმოქმნილი შემოსავლები და ხარჯები (1-ლი შენიშვნა).

² 2019 წელს კომპანიამ საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოს მიჰყიდა არაპროფილური აქტივები, რომლებიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია, როგორც საინვესტიციო ქონება და ძირითადი საშუალებები. გასხვებისებული აქტივების საბალანსო ღირებულება შეადგენდა 4,522 ლარს, ხოლო მიღებული საშალური – 6,886 ლარს, საიდანაც 861 ლარი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის შეუსრულებელ დებიტორულ დავალიანებას წარმოადგენდა. კომპანიამ ამ აქტივების რეალიზაციიდან მიღებული შემოსულობა მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოადგინა, როგორც არაპროფილური აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობა.

³ 2019 წელსა და 2018 წელს საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებს მიეკუთვნებული სხვა საოპერაციო ხარჯები წარმოადგენს ჩამდინარე წყლების მოგროვების დანახარჯებს.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

29. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**დირექტორების ანაზღაურება**

კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაში 2019 წელს და 2018 წელს შედიან კომპანიის არააღმასრულებელი დირექტორები, სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელი თავმჯდომარე და კომპანიის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს წევრები. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისთვის (სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის და კომპანიის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს ექვსი წევრის ჩათვლით) გადახდილი კომპენსაცია მათ მიერ ხელმძღვანელის სრულ საშტატო პოზიციებზე შესრულებული მომსახურებისთვის შედგება ხელფასისგან, წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაციებისგან, პრემიებისგან კომპანიის ფინანსური მაჩვენებლებიდან გამომდინარე. მთლიანი კომპენსაცია, რომელიც გადახდილია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისთვის 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის, შესაბამისად, 9,244 ლარს და 11,432 ლარს შეადგენდა.

	2019	2018
ხელფასები და სარგებელი	1,936	2,300
პრემიები	1,323	1,258
თანამშრომელთა კომპენსაცია წილობრივი ინსტრუმენტებით	3,123	7,874
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრების შრომითი საქმიანობის შეწყვეტასთან დაკავშირებული კომპენსაცია (26-ე შენიშვნა)	2,862	–
სულ ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება	9,244	11,432

30. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020 წლის დასაწყისში მშობელმა კომპანიამ განახორციელა დაგეგმილი დეოფშორიზაციის (საგადასახადო იურისდიქციის შეცვლის) პროცესი, რის შედეგადაც შეიცვალნენ მშობელი კომპანიის მესაკუთრეები. ბრიტანეთის ვირჯინის კუნძულების რეზიდენტი კომპანია „GGU“ ჩაანაცვლა საქართველოს რეზიდენტმა სააქციო საზოგადოებამ – „ჯორჯია გლობალ იუთილითიზ“, რომლის საბოლოო მფლობელი არის ჯორჯიან კაპიტალი. ამ ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღისთვის, ჯორჯიან გლობალ იუთილითიზ (ბრიტანეთის ვირჯინის კუნძულები) ლიკვიდირებულია და კომპანიის მშობელი კომპანია არის სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზ“.

2020 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსი („COVID-19“) პანდემიად გამოაცხადა. გაურკვეველია, რამდენად შეაფერხებს ეს პანდემია მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას და რა გავლენას იქონიებს საქართველოს ეკონომიკაზე. COVID-19-ით ინფიცირების პირველი შემთხვევა დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა 2020 წლის თებერვალში დაადასტურა. COVID-19-ის გავრცელების შესაჩერებლად საქართველოს მთავრობამ მთელი რიგი ზომები მიიღო, რამაც სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. კომპანია აკვირდება, რამდენად აისახება კორონავირუსის (COVID-19) გავრცელება თავის საქმიანობაზე, მომხმარებლებზე და თანამშრომლებზე და ასრულებს საქართველოს მთავრობის მიერ გაცემულ ოფიციალურ რეკომენდაციებს, რათა უზრუნველყოს თავისი თანამშრომლების უსაფრთხოება და თავისი საქმიანობის უწყვეტობა. COVID-19-ის შემდგომი გავრცელება საქართველოსა და მთელ მსოფლიოში, სავარაუდოდ, უარყოფითად იმოქმედებს ეკონომიკაზე, თუმცა ჯერ ნაადრევია კომპანიის საქმიანობაზე მისი შესაძლო გავლენის სრულად გააზრება.

ამ მოვლენების პასუხად, საქართველოს მთავრობამ 2020 წლის 1 აპრილს გამოაცხადა 2 მილიარდი ლარის ოდენობის ეკონომიკური მხარდაჭერის ინიციატივის შესახებ. ინიციატივის პაკეტი, სხვებთან ერთად, მოიცავს მთავრობის მიერ 2020 წლის მარტი-მაისის პერიოდში წყალმომარაგების მომსახურების ღირებულების დაფარვას გარკვეული კატეგორიის ფიზიკური პირების ნაცვლად, რომლებიც კომპანიის საყოფაცხოვრებო მომხმარებლების უდიდეს ნაწილს შეადგენენ.

კომპანიის ხელმძღვანელობა კორონავირუსის (COVID-19) პანდემიას განიხილავს, როგორც ბალანსის თარიღის შემდგომ არამაკორექტირებელ მოვლენას და ჯერ კიდევ აფასებს მის გავლენას კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს „იუაის“ მიერ 2020 წლის 29 აპრილს გამოშვებული ინგლისურენოვანი აუდიტის დასკვნის თარგმანს.

წინამდებარე თარგმანსა და აუდიტის დასკვნის ინგლისურენოვან ორიგინალს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურენოვან ტექსტს.



**შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“
მმართველობის ანგარიშგება**

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

შინაარსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

საქმიანობის მიმოხილვა	1
1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ	1
2. საოპერაციო გარემო.....	1
3. საქმიანობის მიმოხილვა	1
4. ხარისხის მართვა	3
5. ინვესტიციები	3
6. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების განმარტებები.....	4
კორპორატიული მართვის ანგარიშგება	5
7. აქციონერებისა და სამეთვალყურეო საბჭოს უფლება-მოვალეობები.....	5
8. ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესი	6
არაფინანსური ანგარიში	7
9. არაფინანსური მაჩვენებლები.....	7
10. სოციალური პასუხისმგებლობა.....	7
11. კორპორატიულ-სოციალური პასუხისმგებლობა	7
12. გარემოსდაცვითი საკითხები.....	8
13. ადამიანთა უფლებების დაცვა	8
14. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა	8
15. უსაფრთხო წყალი - უსაფრთხო გარემო	9
16. სანიტარული ზონები	9
17. კადრების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება	9
18. თანამშრომელთა უსაფრთხოებაზე ზრუნვა.....	9
19. კორონავირუსის (COVID-19) პანდემია.....	9


ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ხელმძღვანელობასა და მშობელ კომპანიას

ჩვენ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2020 წლის 29 აპრილს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩაგვიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- ▶ მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- ▶ მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



ალექსეი ლოზა

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2020 წლის 25 სექტემბერი

საქმიანობის მიმოხილვა

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ („კომპანია“) 1997 წლის 25 ივნისს თბილისის მთაწმინდის რაიონული სასამართლოს მიერ თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 23 მაისის დადგენილების საფუძველზე დარეგისტრირდა (სარეგისტრაციო ნომრით 203826002), როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2008 წელს კომპანია პრივატიზებული იქნა და შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითიზ ბი-ვი-აი-მ“ (ყოფილი შპს „მალტიპლექს ენერჯი ბი-ვი-აი“) შეისყიდა კომპანიის 100%-იანი წილი, რომელსაც მაშინ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი ფლობდა.

კომპანიის ძირითად საქმიანობაა წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების შეგროვების მომსახურების გაწევა იურიდიული პირებისთვის და ქალაქ თბილისისა და მიმდებარე სოფლების მოსახლეობისთვის. კომპანია ფლობს და ექსპლუატაციას უწევს წყლისა და ჩამდინარე წყლების ინფრასტრუქტურულ აქტივებს, რომლებიც გამოიყენება წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების შეგროვებისთვის. კომპანია ასევე ფლობს ჰიდროელექტროსადგურებს და გამოიმუშავებს ელექტროენერგიას საკუთარი მოხმარებისთვის და ღია ბაზარზე გასაყიდად.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი 0179, მედეა (მზია) ჯუღელის ქუჩა #10.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იან წილს ფლობს შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითიზ“, სს „ჯორჯია კაპიტალის“ ერთპიროვნულ საკუთრებაში მყოფი შვილობილი კომპანია, რომლის საბოლოო მშობელი კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „ჯორჯია კაპიტალი“.

2. საოპერაციო გარემო

კომპანიის საქმიანობა კონცენტრირებულია საქართველოში. რადგანაც ქვეყანა ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში მყოფი ბაზარია, მას არა აქვს კარგად განვითარებული ბიზნესის ინფრასტრუქტურა და ნორმატიული ბაზა, რაც უფრო განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებს ახასიათებთ. საქართველოში საქმიანობა დაკავშირებულია ისეთ რისკებთან, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე, მათ შორის იმ რისკებთან, რომ ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, სავალუტო კურსები მერყეობს და სასესხო და წილობრივი ინსტრუმენტების ბაზრები კარგად არ არის განვითარებული. თუმცა, ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საბანკო, იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემების გაუმჯობესებისთვის საჭირო რეფორმების სახით, რაც დადებითად აისახება ზოგად საინვესტიციო კლიმატზე. ამ რეფორმებს შორისაა ახალი კანონმდებლობის მიღება, ახალი საგადასახადო კოდექსისა და საპროცესო კანონების ჩათვლით. ხელმძღვანელობის აზრით, აღნიშნული ნაბიჯები ხელს უწყობს ბიზნესის წარმოების რისკების შემცირებას საქართველოში.

მოსალოდნელია ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული არსებული ტენდენციის გაგრძელება. ქართული ეკონომიკის მომავალი სტაბილურობა დიდად არის დამოკიდებული ამ რეფორმებზე და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი-საკრედიტო პოლიტიკის განვითარებისათვის. ამის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას ახდენს განვითარებულ ქვეყნებში საბაზრო კრიზისი და ეკონომიკური განვითარების შეფერხება, როგორცაა COVID-19-ის გლობალური პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური განუსაზღვრელობა.

3. საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ (GWP) წამყვანი კომპანიაა საქართველოს წყალმომარაგების ბაზარზე. კომპანია ბუნებრივი მონოპოლისტია თბილისისა და მის შემოგარენში, სადაც ის ემსახურება საქართველოს 1.02 მილიონ რეზიდენტს, რაც მთლიან მოსახლეობის მესამედს შეადგენს და 32,591 იურიდიულ პირს. დედაქალაქის წყალმომარაგებასა და წყალარინების მომსახურებაზე კომპანიის 2,800-მდე თანამშრომელი ზრუნავს.

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ წყლის რესურსებს ეკოლოგიურად სუფთა და მდგრადი გზით მოიპოვებს, ქმნის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პროდუქტს – ხარისხიან სასმელ წყალს, ახდენს მის ტრანსპორტირებასა და მომხმარებლისთვის მიწოდებას. კომპანია წყალარინების მომსახურებასაც ეწევა და მოხმარებული წყლების გატანას საკანალიზაციო ქსელების მეშვეობით უზრუნველყოფს.

3. საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი ენერგეტიკის მიმართულებითაც საქმიანობს. ელექტროენერგიის წარმოება ჟინვალჰესზე, თეთრიხევჰესზე, ფშაველაჰესზე, საგურამოჰესზე და ბოდორნაჰესზე ხდება. ხუთივე ჰესი საქართველოს ერთიან ელექტროსისტემაშია ჩართული, გამომუშავებული ელექტროენერგია კი დედაქალაქის წყალმომარაგების ობიექტების ფუნქციონირებას ხმარდება.

წყალმომარაგება

სასმელი წყალი ყოველდღიური მოხმარების სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქტია, რომლის შექმნა-დამუშავებასა და მომხმარებელამდე მიწოდებას დიდი შრომითი და მატერიალური რესურსი ხმარდება. არსებობს წყალმომარაგების ორი ტიპის წყარო - მიწისქვეშა და ზედაპირული. ნედლი წყლის ხარისხის გამო, პრიორიტეტულია მიწისქვეშა წყალაღება. თბილისის წყალმომარაგების სისტემაში ორივე ტიპის წყალაღება გამოიყენება. მიწისქვეშა წყლების მიღება ხდება მდინარე არაგვის ხეობაში, ხოლო ზედაპირული წყალაღება ხორციელდება ჟინვალის წყალსაცავიდან და, ნაწილობრივ, თბილისის ზღვიდანაც (სარეზერვო დანიშნულება), ღრმადელესა და სამგორის სათაო ნაგებობების საშუალებით. წყლის ხარისხის სტანდარტამდე დაყვანის შემდეგ ხდება მისი ტრასპორტირება და დაგროვება სარეგულაციო რეზერვუარებში. დედაქალაქის ტერიტორიაზე განთავსებულია 311,000 მ³ ტევადობის რეზერვუარი, მძლავრი სატუმბო სადგურები, ადგილობრივი წნევის მარეგულირებელი სადგურები და წნევის რეგულატორები, რომელთა საშუალებით, თბილისის მასშტაბით, სასმელი წყლის ნაკადებისა და წყლის წნევის რეგულირება ხდება.

დედაქალაქში შემოსული წყალი გადის დამუშავება-ფილტრაციის სრულ ციკლს და წყალსადენის 3,792 კმ-იანი ქსელით უზნებზე ნაწილდება, საიდანაც, უშუალოდ მომხმარებელთა ონკანებამდე მის მიწოდებას 1000 ტუმბო უზრუნველყოფს.

წყალარინება

თბილისის წყალარინების (კანალიზაცია) ქსელების მშენებლობა 1835 წელს დაიწყო. ძირითადად, გამოიყენებოდა აგურის კოლექტორები, რომელშიც ჩაედინებოდა როგორც სამეურნეო-ფეკალური წყლები, ასევე ატმოსფერული ნალექები და იღვრებოდა მდ. მტკვარში.

დღეისთვის, თბილისის წყალარინების ქსელები, დიამეტრით 150-დან 1200 მმ-მდე, მოწყობილია აგურის თაღოვანი, ბეტონის, რკინაბეტონის, კერამიკის, თუჯის, და პოლიეთილენის მილებისაგან. წყალარინების სისტემა თვითდინებით მუშაობს.

ქსელების საერთო სიგრძე შეადგენს 1620 კმ-ს:

- 1000 კმ - ქუჩის ქსელი
- 620 კმ - შიდა კვარტალური და ეზოს ქსელები.

მთავარი გამყვანი კოლექტორის სიგრძე 72 კმ-ია. მისი საშუალებით ჩამდინარე წყლები გარდაბნის გამწმენდ ნაგებობამდე მიდის. მთავარ გამყვან კოლექტორზე ფუნქციონირებს 42 გამყოფი საკანი.

მტკვარზე მოწყობილია 5 დიუკერი – ავჭალის, დიდუბის, მეტეხის, მდ. გოღანულის და მდ. დიდმულის.

გარდაბნის გამწმენდი ნაგებობის წარმადობაა 1,0 მლნ. მ3 დღ/ღ-ში.

ენერგომომარაგება

“ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი” ელექტროენერგიას აწარმოებს მის განკარგულებაში არსებული “ჟინვალჰესის”, “თეთრიხევიჰესის”, „ფშაველაჰესის“, „საგურამოჰესის“ და „ბოდორნაჰესის“ საშუალებით. გამომუშავებული ელექტროენერგია საკუთარი მოხმარებისთვის გამოიყენება და თბილისის წყალმომარაგების ობიექტების ფუნქციონირებას ხმარდება. ხუთივე ჰიდროელექტროსადგური ჩართულია საქართველოს ერთიან ელექტროსისტემაში.

კომპანიის ობიექტები - არაგვის ხეობის, სამგორისა და ღრმადელის სათაო ნაგებობები, მძლავრი სატუმბო სადგურები, ადგილობრივი წყლის წნევის გამაძლიერებელი სატუმბო სადგურები, ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობები, წყლის წნევის რეგულატორები და კომპანიის სხვა ნაგებობები წელიწადში, საშუალოდ, 175–195 მლნ კვტ.სთ. ელექტროენერგიას მოიხმარს.

4. ხარისხის მართვა

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მართვა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ხორციელდება. კომპანიამ ხარისხის მართვის საერთაშორისო სისტემის ISO-9001 სტანდარტის შესაბამისი სერტიფიკატი 2006 წელს მიიღო. ხარისხის მართვის სერტიფიკატის მოპოვება და მისი მოთხოვნების დანერგვა კომპანიას ავალდებულებს მუდმივად იყოს ორიენტირებული მომსახურების გაუმჯობესებაზე, წარმოების ეფექტურობის ზრდაზე, ტექნიკური და ტექნოლოგიური ოპერაციების წარმართვის მკაფიოდ რეგლამენტირებასა და კომპანიის პერსონალის მოტივირებულ ქმედებებზე.

ხარისხის მართვის სერტიფიკატის შენარჩუნება ეფუძნება კომპანიის საქმიანობის მუდმივ მონიტორინგს. ამ მიმართულებით „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ აგრძელებს დაგეგმილი პროექტების და სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას საბოლოო მიზნის მისაღწევად – თბილისის მოსახლეობის უწყვეტი და ხარისხიანი წყალმომარაგება და წყალარინების სისტემების შეუფერხებლად ფუნქციონირება.

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ სასმელი წყლის ხარისხის მაკონტროლებელი ლაბორატორიები განთავსებულია ღრმადელის, სამგორის, საგურამოსა და ბულაჩაურის სათავე ნაგებობებზე. ყველა ლაბორატორია ISO=17025 სტანდარტის მიხედვითაა აკრედიტებული და უწყვეტ რეჟიმში მუშაობს.

კომპანიის ყველა ლაბორატორიის ფუნქციონირებას კოორდინაციასა და ზედამხედველობას უწევს წყლის ხარისხის მაკონტროლებელი ცენტრალური ქიმიურ-მიკრობიოლოგიური ლაბორატორია, რომელიც ISO-7025:2005/2010 სტანდარტის შესაბამისი სერტიფიკატსა და აკრედიტაციას 2012 წლიდან ფლობს. ცენტრალური ლაბორატორიის რეაკრედიტაცია 2015 წლის ივნისში მოხდა და მასთან ერთად ყველა ფილიალმა(სამგორის, საგურამოსა და ბულაჩაურის ქიმიური ლაბორატორიები) გაიარა აკრედიტაცია. შემდეგი რეაკრედიტაცია, პირველბაშა საქართველოში გაიარა 2019 წლის ივნისში განახლებული ISO-7025:2017/2018-ის მოთხოვნების შესაბამისად, ამას გარდა ლაბორატორიები გადიან ყოველწლიურ შეფასებას ISO-17025:2017/2018-ის და აკრედიტაციის სისტემის წესებისა და პროცედურების მოთხოვნების შესაბამისად.

5. ინვესტიციები

2019 წლის განმავლობაში, კომპანიამ მნიშვნელოვანი ინვესტიცია განახორციელა წყალმომარაგების და წყალარინების სისტემების გაუმჯობესებაში, ქსელის განვითარებასა და ჰიდროელექტროსადგურების აქტივების განახლებაში. კომპანიამ განახორციელა ინვესტიცია ამორტიზირებული/ავარიული ქსელისა და ინფრასტრუქტურის განახლებაში, რათა უზრუნველყო ქალაქ თბილისის სტაბილური, ხარისხიანი და უწყვეტი წყალმომარაგება; ასევე დაეუზოგა ელექტროენერგიის საკუთარი მოხმარება და შეემცირებინა წყლის დანაკარგი.

დამატებით, წყლის აღრიცხვის გაუმჯობესებისათვის 2019 წელს გრძელდებოდა გამრიცხველიანების პროექტი. დაყენდა ე.წ. ჭკვიანი მრიცხველები, რომელიც უზრუნველყოფს რეალიზებული წყლის ზუსტ აღრიცხვას.

სისტემის გაუმჯობესებისთვის, დამატებით მოხდა ინვესტიცია წყალმომარაგების ქსელის ინფრასტრუქტურის განახლების მიზნით, როგორებიცაა რეზერვუარები, სატუმბო სადგურები და სათავე ნაგებობები. მოხმარებლების ეფექტური და ხარისხიანი მომსახურებისთვის კიდევ უფრო დაიხვეწა ინფორმაციული ტექნოლოგიები და პროგრამული უზრუნველყოფა, რაც კომპანიისთვის დამატებით ინვესტიციას წარმოადგენდა. ასევე დამატებითი ინვესტიცია განხორციელდა წყლის ხარისხის კონტროლისა და არსებული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების გაუმჯობესებისათვის.

როგორც ცნობილია, წყალმომარაგების ენერგოუზრუნველყოფა ხდება შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მფლობელობაში არსებული ჰიდროელექტროსადგურ ჟინვალჰესზე გენერირებული ელექტროენერგიით, შესაბამისად, აუცილებელია ჰესისა და მისი ინფრასტრუქტურის გამართული და უსაფრთხო ფუნქციონირება. ბოლო რამოდენიმე წელია კომპანია ახორციელებს ჟინვალჰესზე წყალგამყვანი გვირაბის რეაბილიტაციას და 2019 წელიც არ იყო გამონაკლისი. გარდა ამისა დასრულდა ბოდორნას საბუფერო აუზის ცემენტაციის პროექტი და სხვა მცირე კაპიტალური სამუშაოები.

2019 წლის განმავლობაში კომპანიამ მსხვილი ინვესტიცია განახორციელა დიდ სარეაბილიტაციო პროექტებში, როგორებიცაა ჭავჭავაძის გამზირის, კანდელაკის, ბუდაპეშტის და ხიზანიშვილი- ვეკუას ქუჩების ქსელის რეაბილიტაციები. პროექტების ნაწილი გახდა გარდამავალი და დასრულდება 2020 წელს.

6. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების განმარტებები

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ შემოსავლის ძირითადი წყარო არის წყლის მიწოდება თბილისის მოსახლეობისა და იურიდიული პირებისათვის. 2019 წელს შემოსავალი წლის მიწოდებიდან 2018 წელთან შედარებით მხოლოდ მცირედით გაიზარდა, თუმცა აღსანიშნავია, რომ 3-ჯერ გაიზარდა ელექტროენერგიის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი.

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ საოპერაციო მოგება გაიზარდა წლის განმავლობაში, რაც ძირითადად ელექტროენერგიის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების ზრდით იყო გამოწვეული. კომპანია მუდმივად ცდილობს იზრუნოს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე, დასაქმებულებისა და მომხმარებლების კომფორტზე და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე, რაც ზრდის მიმდინარე საოპერაციო ხარჯებს.

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ აქტივების 80%-ს შეადგენს ძირითადი საშუალებები 2019 წლის ბოლოს მდგომარეობით, რომლის ბალანსიც სტაბილურად იზრდება. მაგალითად, 2018 წელთან შედარებით 2019 წელს ძირითადი საშუალებების მოცულობა 17%-ით გაიზარდა. კომპანია მნიშვნელოვან ინვესტიციას ახორციელებს ქსელის რეაბილიტაციაში ქალაქის ფარგლებში და ქსელის განვითარებაში გარეუბნებში.

2019 წლის განმავლობაში კომპანიამ შეძლო და 16 მილიონი ევროს მოცულობის გრძელვადიანი დაფინანსება მიეღო Deutsche Investitions- und Entwicklungsgesellschaft-სგან. ამავე წელს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ 85 მილიონი ლარის ოდენობის თანხა მოიხიდა თიბისი ბანკისგან.

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ თვალს ადევნებს საერთაშორისო სტანდარტებში მიმდინარე ცვლილებებს და ნერგავს განახლებულ სტანდარტებს. 2019 წლის განმავლობაში კომპანიამ დანერგა ფასს (IFRS) 16 „იჯარა“. ახალი სტანდარტის მიღებას გავლენა ჰქონდა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ასევე აღსანიშნავია, რომ 2019 წლის მეორე ნახევარში კომპანიამ შეცვალა თავისი სააღრიცხვო პოლიტიკა ძირითად საშუალებებთან მიმართებით. კომპანიამ გამოიყენა თვითღირებულების მოდელი, რომლითაც აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურება. პოლიტიკაში ამ ცვლილების შესვლამდე, კომპანია იყენებდა გადაფასების მოდელს, რომლის მიხედვითაც ძირითადი საშუალებები აღირიცხებოდა სამართლიანი ღირებულებით გადაფასების თარიღისთვის და აკლდებოდა შემდგომში დაგროვილი ცვეთა და შემდგომში დაგროვილი გაუფასურების ზარალი. კომპანიას მიაჩნია, რომ თვითღირებულების მოდელი ინვესტირებისთვის უფრო სარწმუნოდ და გასაგებად წარმოადგენს ინფორმაციას, რადგან შედარების მეტ საშუალებას იძლევა. თვითღირებულების მოდელის გამოყენება კომუნალურ სექტორში დამკვიდრებული პრაქტიკაა და მისი გამოყენებით ბუღალტრული აღრიცხვა უფრო შესაბამისობაშია ამ კატეგორიის აქტივებთან დაკავშირებულ ბიზნესსაქმიანობასთან.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება აღრიცხულია რეტროსპექტულად, კერძოდ, თვითღირებულების მოდელით მოხდა ფინანსური ანგარიშგების თითოეული შესაბამისი მუხლის გადაანგარიშება წინა პერიოდებისთვის.

კორპორატიული მართვის ანგარიშგება

7. აქციონერებისა და სამეთვალყურეო საბჭოს უფლება-მოვალეობები

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერში“ არის 3 დონიანი მართვის სისტემა: პარტნიორი (შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითიზ“), სამეთვალყურეო საბჭო და გენერალური დირექტორი.

პარტნიორი იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე:

- 1.1.1. „საზოგადოების“ წესდებაში და რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანა;
- 1.1.2. „საზოგადოების“ კაპიტალის გაზრდა ან შემცირება;
- 1.1.3. „საზოგადოების“ რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.
- 1.1.4. გენერალური დირექტორის ან/და სამეთვალყურეო საბჭოს წინადადებების მოგების გამოყენების შესახებ მიღება ან უარყოფა, ხოლო როცა ეს ორგანოები ვერ იძლევიან ერთიან წინადადებას - წმინდა მოგების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- 1.1.5. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა ან მათი გამოწვევა.
- 1.1.6. გენერალური დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშების დამტკიცება;
- 1.1.7. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების განსაზღვრა;
- 1.1.8. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ შემუშავებული გენერალური დირექტორის და სხვა ხელმძღვანელ მუშაკთათვის მოგებასა და მსგავს ურთიერთობაში მონაწილეობის, ბონუსების გაცემისა და სხვა წახალისებების დამტკიცება;
- 1.1.9. აუდიტორის არჩევა;
- 1.1.10. სამეთვალყურეო საბჭოსა და გენერალური დირექტორის წინააღმდეგ სასამართლო პროცესებში მონაწილეობა, ამ პროცესებისათვის წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით;
- 1.1.11. „საზოგადოების“ ქონების შეძენა, გასხვისება, გაცვლა (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებები) ან დატვირთვა, რომელთა ღირებულება აღემატება „საზოგადოების“ აქტივების 10%-ს.

სამეთვალყურეო საბჭო კონტროლს უწევს გენერალური დირექტორის საქმიანობას ზოგადად და იგი ნიშნავს გენერალურ დირექტორს. საბჭო ამოწმებს წლიურ ანგარიშებს და წინადადებებს ამზადებს მოგების განაწილებაზე, რომელსაც საბოლოოდ ამტკიცებს პარტნიორი.

მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით, შეიძლება შემდეგი საქმიანობის განხორციელება:

- 1.1.1. სხვა საწარმოს წილის/აქციების შეძენა და გასხვისება, თუკი ამგვარი წილის/აქციების მოცულობა აღემატება ამგვარი საწარმოს კაპიტალის 50%-ს ან გარიგების ღირებულება აღემატება 1,000,000 (ერთი მილიონი) ლარს;
- 1.1.2. ფილიალების დაარსება და ლიკვიდაცია;
- 1.1.3. წლიური ბიუჯეტისა და გრძელვადიანი ვალდებულებების მიღება;
- 1.1.4. ვალდებულებათა აღება და უზრუნველყოფა (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების დადება), რომელთა ღირებულება აღემატება 1,000,000 (ერთი მილიონი) ლარს. დაუშვებელია სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და გენერალური დირექტორის ვალდებულებათა უზრუნველყოფა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულია პარტნიორის მიერ;
- 1.1.5. ახალი სახის ეკონომიკური საქმიანობის დაწყება ან არსებული სახის საქმიანობის შეწყვეტა;
- 1.1.6. სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების დადგენა;
- 1.1.7. სავაჭრო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშვნა და გამოწვევა;
- 1.1.8. „საზოგადოების“ ფასიანი ქაღალდების გამოშვება ან/და საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- 1.1.9. გენერალური დირექტორის და სხვა ხელმძღვანელი პირებისათვის მოგებასა და მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობის, ბონუსების გაცემისა და სხვა წახალისებების განსაზღვრა, მათი საპენსიო უზრუნველყოფის პრინციპების დადგენა და პარტნიორისათვის დასამტკიცებლად წარდგენა;
- 1.1.10. „საზოგადოების“ ქონების შეძენა, გასხვისება ან სხვაგვარი განკარგვა (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების დადება), რომლის ღირებულება აღემატება 1,000,000 (ერთი მილიონი) ლარს;
- 1.1.11. „საზოგადოების“ მიერ სესხის/კრედიტის აღება ან გაცემა (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების დადება), რომლის ღირებულება აღემატება 1,000,000 (ერთი მილიონი) ლარს;
- 1.1.12. „საზოგადოების“ მიერ ნებისმიერი გარიგების დადება (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების დადება), რომლის ღირებულება აღემატება 1,000,000 (ერთი მილიონი) ლარს.

7. აქციონერებისა და სამეთვალყურეო საბჭოს უფლება-მოვალეობები (გაგრძელება)

ასევე წესდებით განსაზღვრულია, რომ დაკავშირებულ პირებთან დასაბუთებული ნებისმიერი გარიგება, თუ ამგვარი გარიგების ღირებულება აღემატება 200,000 (ორასი ათას) ლარს, უნდა დამტკიცდეს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

დაკავშირებული პირი ნიშნავს ნებისმიერ პირს, რომელიც წარმოადგენს (ა) „საზოგადოების“ წილის ხუთი პროცენტის ან მეტის მფლობელს და/ან სხვაგვარად აკონტროლებს ამგვარ წილს, (ბ) „საზოგადოების“ გენერალურ დირექტორს, სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ან „საზოგადოების“ სხვა ხელმძღვანელ თანამშრომელს, (გ) კომპანიას, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს ან კონტროლდება „საზოგადოების“ მიერ, ან რომელიც კონტროლდება იმ პირის მიერ, რომელიც აკონტროლებს „საზოგადოებას“ და (დ) ნებისმიერ სხვა პირს (იურიდიულ ან ფიზიკურ პირს), რომელიც მიიჩნევა დაკავშირებულ პირად შესაბამისი კანონმდებლობით და/ან საზოგადოების პარტნიორის მიერ.

„საზოგადოების“ ყოველდღიური საქმიანობის ორგანიზაციის და მართვის მიზნით „საზოგადოების“ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ინიშნება „საზოგადოების“ გენერალური დირექტორი, რომელიც უძღვება „საზოგადოების“ საქმიანობას წესდების მოთხოვნათა შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ კომპანია მუდმივად ცდილობს დაიცვას გენდერული თანასწორობა დასაქმებულთა შორის. გამომდინარე ქვეყნის სოციალურ-კულტურული მახასიათებლებიდან, ბუნებრივად ხდება რომ ტექნიკურ და სხვადასხვა თანამდებობებზე დასაქმების სურვილს გამოხატავენ მხოლოდ მამაკაცები და კომპანიის პროფილის შესაბამისად თანამშრომლების უმეტესობას ისინი წარმოადგენენ. თუმცა, ადმინისტრაციის თანამშრომლებს შორის რაოდენობით ლიდერობენ ქალები და ჯამში ამ მიმართულებით დასაქმებულია 300-ზე მეტი მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, რაც მთლიანი ადამიანური რესურსის 13%-ია. ქალებს მნიშვნელოვანი როლი შეაქვთ კომპანიის განვითარებაში, მათი 35% წარმოადგენს კომპანიის მაღალი და საშუალო რგოლის მენეჯერები. ისინი მონაწილეობენ მთავარ პროცესებში აღმასრულებელ თანამდებობებზე, იღებენ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს და თანაბრად აგებენ პასუხს ჩვენი კომპანიის განვითარებაზე.

8. ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესი

ფინანსური ანგარიშგების შედგენაზე პასუხისმგებელი არის „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ რეპორტირებისა და ბიუჯეტირების დეპარტამენტი. დეპარტამენტმა უნდა უზრუნველყოს არა მარტო კომპანიის ფინანსური მაჩვენებლების პრეზენტაცია, არამედ კომპანიის საქმიანობის, საოპერაციო გარემოსა და სააღრიცხვო პოლიტიკის აღწერაც. კომპანიის მხრიდან ფინანსურ ანგარიშგებას ადასტურებენ ფინანსური და გენერალური დირექტორები. ფინანსური ანგარიშგება გადაეცემა გარე აუდიტის წარმომადგენლებს დასადასტურებლად, რომლებიც ფინანსური წლის დახურვის შემდეგ ახორციელებენ კომპანიის პროცედურების, დოკუმენტაციისა და ფინანსური მაჩვენებლების შემოწმებას.

არაფინანსური ანგარიში

9. არაფინანსური მაჩვენებლები

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ აბონენტებს 24 საათის მანძილზე მიეწოდებათ სასმელი წყალი 5 სათავე ნაგებობის მეშვეობით, ესენია: ბულაჩაურის, ნატახტრის, საგურამოს, ღრმადელის და სამგორის სათავე ნაგებობები. 24 საათიანი წყალმომარაგების უზრუნველყოფისათვის გამოიყენება 3,792 კმ სიგრძის მქონე წყალსადენის ქსელი, 120 რეზერვუარი საერთო მოცულობით 353,900 მ³, 47 სატუმბო სადგური და 161 ადგილობრივი გამაძლიერებელი ბუსტერული ტიპის სატუმბო სადგური. 2019 წლის განმავლობაში წყლის მოპოვება 467 მილიონ მ³-ს შეადგენდა. წყლის მოპოვება შემცირდა 2018 წლის მონაცემთან შედარებით, რაც გამოწვეულია დანაკარგების შემცირებით. სააღრიცხვო წლის განმავლობაში კომპანიამ მნიშვნელოვანი ინვესტიცია განახორციელა ფარული ავარიების აღმოსაფხვრელად და მილსადენების რეაბილიტაციისთვის, რამაც შეამცირა დანაკარგები და, შესაბამისად, წყლის მოპოვება.

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ აერთიანებს ოთხ ჰიდრო ელექტრო სადგურს, საერთო დადგმული 146.7 მგვტ. სიმძლავრით. 2019 წლის განმავლობაში საერთო გამომუშავება შეადგენდა 340 მილიონი კვტ. საერთო გამომუშავების 67%-ს შეადგენს ჟინვალჰესის გამომუშავება, რომელიც კომპანიისთვის წყლის მოპოვების ძირითადი წყაროა. გამომუშავებული ელექტროენერგიის დაახლოებით 51% კომპანია თავად მოიხმარს წყლის მოპოვებაში. ელექტროენერგიის მოხმარება 10%-ით შემცირდა 2018 წლის მონაცემთან შედარებით, რაც კომპანიაში განხორციელებული ენერგო ეფექტური და სარეაბილიტაციო პროექტებით არის გამოწვეული.

10. სოციალური პასუხისმგებლობა

უპირველესი სოციალური პასუხისმგებლობა, რომელიც „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ უშუალო საქმიანობას უკავშირდება, თბილისის მოსახლეობისთვის, საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და კომერციული სექტორისთვის საიმედო კომუნალური მომსახურების გაწევა, მათი სტაბილური წყალმომარაგება და მათთვის ხარისხიანი სასმელი წყლის მიწოდებაა.

11. კორპორატიულ-სოციალური პასუხისმგებლობა

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ აცნობიერებს თავის კორპორატიულ პასუხისმგებლობას და თვლის, რომ შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს საზოგადოების მდგრად განვითარებაში. კომპანია ითვალისწინებს ძირითად დაინტერესებულ მხარეებს (კლიენტებს, აქციონერებს, თანამშრომლებს, კრედიტორებსა და ფართო საზოგადოებას) სამუშაო სტრატეგიის შემუშავებისა და ოპერაციების გაუმჯობესებისათვის.

კომპანია მუდმივად უწევს დახმარებას სოციალური მომსახურების სააგენტოს ბავშვთა და გარემოს დაცვის და საერთაშორისო ჰუმანიტარული ქსელის კათარზის თბილისში. იგი უსასყიდლოდ აწვდის სასმელ წყალს ბავშვთა და გარემოს დაცვის სააგენტოს, რომელიც ზრუნავს უსახლკარო და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებზე. წელიწადში ორჯერ „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ აფინანსებს პროექტს „სადილი ყველას“, რომელიც 3000 ადამიანისთვის არის კათარზის მიერ ორგანიზებული.

2019 წლის განმავლობაში „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიის სააგენტოსთან თანამშრომლობით ნიჭიერ და მოტივირებულ ახალგაზრდებთან განაგრძო ტექნიკური წრეების პროექტი. მონაწილეებს საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ და ემუშავათ რეალურ პრობლემებზე, რომლებიც წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების დარგში ჩნდება და მიეღოთ ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები ზემოთხსენებული პრობლემების აღმოსაფხვრელად. გამოვლინდა საუკეთესო თორმეტი პროექტი, რომელთა ავტორებსაც კომპანიამ შესთავაზა სამუშაოს დაწყება და დღეს ისინი წარმატებით განაგრძობენ „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერთან“ თანამშრომლობას.

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ თანამშრომლობს ქვეყნის წამყვან უნივერსიტეტებთან და პროფესიულ კოლეჯებთან, რათა მიიზიდოს ნიჭიერი ახალგაზრდები. ასევე, კომპანიას კავშირი აქვს თავისუფალ უნივერსიტეტთან და სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან. მათ შორის გაფორმებული მემორანდუმით, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ მონაწილეობა სტაჟირების პროგრამებში და ისარგებლონ კომპანიაში მიღებული პრაქტიკული გამოცდილებით.

12. გარემოსდაცვითი საკითხები

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ წარმატებით დანერგა გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემა (ESMS). პროცესი 2016 წელს კომპანიის მიერ მიღებული გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის ჩარჩოში მოცემული გრაფიკის შესაბამისად განხორციელდა. ESMS შესაბამისად საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) შესრულების სტანდარტებს (გარემოს დაცვის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სახელმძღვანელო წყლისა და სანიტაციისთვის). დაინერგა ESMS-ის ფარგლებში შემუშავებული გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მართვის გეგმები და პროცედურები. პროცესები ხორციელდება გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის (ESAP) შესაბამისად, რომელიც შემუშავებულია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების სტანდარტების საფუძველზე. 2019 წელს კომპანიამ დაიწყო გარემოსდაცვითი მენეჯმენტის ISO-14000: 2015 სტანდარტის მოპოვების პროცესი. კომპანიამ წარმატებით გაიარა საერთაშორისო აუდიტი. შედეგად, კომპანიას, 2020 წლის 30 იანვარს, მიენიჭა ISO-14001; 2015 სერთიფიკატი საიდენტისიფიკაციო ნომრით: (GKGR-0004-EC). ESMS-ის დანერგვა ასევე ხელს შეუწყობს სოციალური პასუხისმგებლობის ISO-26000 სტანდარტის მოპოვების პროცესსაც.

კომპანიაში დასაქმებულთა ჯანდაცვა და უსაფრთხოება მუდმივ ყურადღებას საჭიროებს. ამიტომ, კომპანიის ადმინისტრაცია ცდილობს მაქსიმალურად განავითაროს შრომის უსაფრთხოების კულტურა და მოაგვაროს უწყვეტ რეჟიმში საქმიანობის შედეგად წამოჭრილი ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სხვადასხვა საკითხი.

13. ადამიანთა უფლებების დაცვა

კომპანიაში მაქსიმალურად დაცულია ადამიანთა ძირითადი უფლებები, მათ შორის შრომითი უფლებები. აღნიშნული უფლებების შესახებ განმარტებებს ვრცელი ადგილი ეთმობა კომპანიის შრომის შინაგანაწესში, რომელიც შრომის კოდექსთან ერთად ხელმისაწვდომია კომპანიის უკლებლივ ყველა თანამშრომლისათვის და განთავსებულია ყველა დიდი ოფისის ფოიეში გამოსაჩენ ადგილას.

კომპანია დასაქმების თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს ყველა კანდიდატს განურჩევლად რასის, რელიგიის, სქესის, ეროვნების, ასაკის, და ა.შ. ეს პოლიტიკა ძალაშია დასაქმების ყველა პირობის შემთხვევაში, მათ შორის: დაქირავების, დაწინაურების, ხელშეკრულების გაფორმების, კომპენსაციის, ტრენინგის და სხვა შრომით სამართლებრივი მოქმედებების შემთხვევაში.

პერიოდულად კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, ადამიანური კაპიტალის განვითარების დეპარტამენტი აწყოებს შეხვედრებს მიზნობრივ ჯგუფებთან შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების გაცნობის მიზნით, მაგალითად როგორიცაა:

- შრომის კოდექსში განხორციელებული ცვლილებები (უვადო შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება, მავნე და საშიშპირობებიან საქმიანობაზე დასაქმებული პირებისათვის დამატებითი 10 დღიანი შვეულებით სარგებლობის უფლება).
- დაგროვებითი პენსიის სქემის ამოქმედების და მასში ჩართვის შესახებ.
- შრომის უსაფრთხოების კანონში განხორციელებული ცვლილებების შესახებ;

14. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

კომპანია საკუთარ ბიზნეს საქმიანობას წარმართავს ეთიკის პრინციპების დაცვით, ისევე როგორც მოქმედი შიდა და საერთაშორისო ანტიკორუფციული მოთხოვნებისა და საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. კომპანიის მექრთამეობის პრევენციისა და ანტიკორუფციული პოლიტიკა ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობასა და რეგულაციებს და საერთაშორისო სტანდარტებს.

კომპანიის მექრთამეობის პრევენციისა და ანტიკორუფციული პოლიტიკა კრძალავს ღირებულების მქონე ნებისმიერი სიკეთის გადაცემას ან შეთავაზებას ნებისმიერი პირისთვის, ისევე როგორც ნებისმიერი პირისგან მის მიღებას ან წახალისებას კორუფციული მოტივით, როგორიცაა მაგალითად დაუმსახურებელი ანაზღაურების ან შეღავათის მინიჭება სახელმწიფო მოხელისთვის ან უკანონო ბიზნეს უპირატესობის მოსაპოვებლად კერძო პირისთვის.

წინამდებარე პოლიტიკა კრძალავს როგორც ქრთამის შეთავაზებასა და გადახდას, ისე მის დაპირებას (როგორც პირდაპირ, ისე ირიბად), ასევე ქრთამის მოთხოვნის, აღების, ან აღების შესახებ შეთანხმების მხარდაჭერას, წახალისებას ან პროვოცირებას ნებისმიერი ფორმით.

14. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა (გაგრძელება)

კორუფციის და მექრთამეობის რისკები ფასდება რეგულარულად, მექრთამეობის რისკების იდენტიფიცირების, პრიორიტეტის მინიჭების და თავიდან აცილების მიზნით. კომპანიაში დანერგილია შესაბამისი შიდა კონტროლები, ბიზნეს პროცესებში ჩართული თანამშრომლების პასუხისმგებლობა არის გადანაწილებული და არსებობს რამდენიმე დონის კონტროლი. თითოეული მენეჯერი ამოწმებს მისი საქმიანობის სფეროს და ადგენს დარღვევების/რისკებს. შიდა აუდიტის დეპარტამენტი ამოწმებს დანერგილი კონტროლების ეფექტურობას.

15. უსაფრთხო წყალი - უსაფრთხო გარემო

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“, სამომავლოდ, სასმელი წყლის მიღების მხოლოდ უახლეს და ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიებს გამოიყენებს, რაც ნედლი წყლის დამუშავების პროცესში მაქსიმალურ ეფექტს იძლევა. კომპანიას განზრახული აქვს განავითაროს წყალარინების (კანალიზაცია). აღნიშნული გულისხმობს დედაქალაქის ჩამდინარე საკანალიზაციო წყლების მაქსიმალურ გათავისუფლებას ორგანული და არაორგანული დაბინძურებისგან და კომპლექსურად გაწმენდილის დაბრუნებას ბუნებრივ გარემოში.

კომპანიის გარემოსდაცვითი პრიორიტეტებია:

- სასმელი წყლის ეკოლოგიურად უსაფრთხო გზით მიღება;
- თბილისის ჩამდინარე საკანალიზაციო წყლების ორგანული და არაორგანული დაბინძურებისგან გაწმენდა;
- საკანალიზაციო წყლების მდინარე მტკვარში ჩაღვრის აღკვეთა;
- სანიტარული ზონების მაქსიმალური დაცვა.

16. სანიტარული ზონები

სანიტარული დაცვის ზონები შექმნილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იმ წყლის მარაგებისა და რესურსების დაცვის მიზნით, რომელიც სასმელად, საყოფაცხოვრებო, სამკურნალო და საკურორტო დანიშნულებისთვის გამოიყენება.

17. კადრების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ დიდ ყურადღებას უთმობს კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას. სწორედ ამიტომ, კომპანიამ თანამშრომლებისთვის პროფესიული გადამზადების არაერთი კურსი ჩაატარა. ტრენინგების შედეგია ის, რომ თანამშრომლებმა შეძლეს ცოდნის გაღრმავება და მოახერხეს იმ უნარების გაუმჯობესება, რაც დაკისრებული სამუშაოს შესრულებისას მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ადმინისტრაცია თანამშრომელთა გადამზადებით ქმნის პროფესიონალ კადრებს, რომელთა დახმარებით სხვადასხვა პროექტის განხორციელებას გეგმავს.

18. თანამშრომელთა უსაფრთხოებაზე ზრუნვა

ტექნიკური პერსონალის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, კომპანიამ შეიძინა ევროსტანდარტების შესაბამისი ფრანგული და იაპონური წარმოების კოლექტიური და ინდივიდუალური დამცავი საშუალებები: საგზაო ბარიერები, ნიშნები და კონუსები მზის აკუმულატორები სახანძრო სტენდები ინვენტარით ელექტროუსაფრთხოების პლაკატები და ნიშნები აირანალიზატორები ჭებში მომუშავე პერსონალისთვის პირველადი სამედიცინო დახმარების ავთიაქები, რომლითაც ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალება და ობიექტი აღიჭურვა.

19. კორონავირუსის (COVID-19) პანდემია

2020 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსი („COVID-19“) პანდემიად გამოაცხადა. გაურკვეველია, რამდენად შეაფერხებს ეს პანდემია მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას და რა გავლენას იქონიებს საქართველოს ეკონომიკაზე. COVID-19-ით ინფიცირების პირველი შემთხვევა დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა 2020 წლის თებერვალში დაადასტურა. COVID-19-ის გავრცელების შესაჩერებლად საქართველოს მთავრობამ მთელი რიგი ზომები მიიღო, რამაც სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. კომპანია აკვირდება, რამდენად აისახება კორონავირუსის (COVID-19) გავრცელება თავის საქმიანობაზე, მომხმარებლებზე და თანამშრომლებზე და ასრულებს საქართველოს მთავრობის მიერ გაცემულ ოფიციალურ რეკომენდაციებს, რათა უზრუნველყოს თავისი თანამშრომლების უსაფრთხოება და თავისი საქმიანობის უწყვეტობა. COVID-19-ის შემდგომი

19. კორონავირუსის (COVID-19) პანდემია (გაგრძელება)

გავრცელება საქართველოსა და მთელ მსოფლიოში, სავარაუდოდ, უარყოფითად იმოქმედებს ეკონომიკაზე, თუმცა ჯერ ნაადრევია კომპანიის საქმიანობაზე მისი შესაძლო გავლენის სრულად გააზრება.

კომპანიის ხელმძღვანელობა აცნობიერებს, რომ კორონავირუსი გავლენას მოახდენს წყლის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალზე, თუმცა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არანაირი კორექტირება არ განხორციელებულა კომპანიის ფინანსურ უწყისებში.

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 25 სექტემბერს:



ირაკლი ბაბუნაძე
გენერალური დირექტორი